სპორტი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 14 აგვისტო 2006 №186 (2808) ფასი 50 თეთრი

ინგლისურმა ანტიტერორმა ხიზანიშვილს ფარერები გადაუდო

ქართველების ფარერული გამოცდა ტოფტირის ამ სტადიონზე მოეწყობა

დიდმა ბრიტანეთმა ტერორიზმის დიდი საფრთხე იყნოსა, აეროპორტებში უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მიმართა და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელსაც ხელი შეეშალა — ბლექბერნელი ზურაბ ხიზანიშვილი გუშინ მანჩესტერიდან კოპენჰაგენში ვერ ჩავიდა, რათა იქიდან გუნდთან ერთად ფარერის კუნძულებზე გამგზავრებულიყო.

— მანჩესტერის აეროპორტში ისეთი ამბავი იყო, რეგისტრაციის გავლა ვერ მოვასწარი და ფარერებზე ერთი დღით გვიან ჩავალ. ჩემთვის ეს ერთი დღეც ბევრს ნიშნავდა. საზარდულის ტრავმის გამო უკვე ხუთი დღეა, არ მივარჯიშია და ვარჯიშის განახლება ნაკრებში მინდოდა. როგორც უნდა იყოს, ნაკრებში ფარერებზე ერთხელ მაინც ვივარჯიშებ და მერე გადაწყდება, 16 აგვისტოს ვითამაშებ თუ არა — გვითხრა გუშინ ხიზანიშვილმა.

საქართველოს ნაკრები კი გუშინ სრულად მაინც ვერ შეიკრიბა. გუშინ რუსულ პრემიერლიგაში და მეორე ბუნდესლიგაში ტური იყო და იქ მოთამაშე ლეგიონერები ფარერებზე დღეს ჩავლენ. რუსულ პრემიერლიგაში დავით მუჯირმა და ნუკრი რევიშვილმა გამოიჩინეს თავი — სამარელმა მუჯირმა მოსკოვის „სპარტაკს“ გაუტანა გოლი, რუბინელი რევიშვილი უკვე ზედიზედ მეორე თამაშია, გოლს არ უშვებს. „როსტოვთან“ მატჩში კი ორი ყვითელი ბარათით ლოკომოტიველი მალხაზ ასათიანი გააძევეს.

გასულ უქმეებზე გოლის გემო ალკმაარელმა შოთა არველაძემაც გაიხსენა — მან ინგლისური პრემიერლიგის „ბოლტონთან“ გაიტანა და დაჭიმული კუნთიც თითქმის აღარ აწუხებს.

კლაუს ტოპმიოლერი და ფეხბურთელები გუშინ საღამოს ცხრა საათზე გაფრინდნენ კოპენჰაგენიდან ფარერულ ვაგარში.

დავით თავართქილაძე

გადრი ჯუმლაძის ფოტო

ექსპერიმენტული მნიშვნელი 73/80

ესტონეთში მიმდინარე კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში საქართველოს ნაკრები 73:80 დამარცხდა შვედ თანატოლებთან.

ამ შეხვედრას ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — ნიკო ჩერქეზიშვილის შეგირდებს უკვე განაღდებული ჰქონდათ პირველი ადგილი და მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება. ამიტომაც იყო, ჩერქეზიშვილმა გარკვეულ ექსპერიმენტებს რომ მიმართა და თამაშის საშუალება სათადარიგოებსაც მისცა. მიუხედავად ამისა, სამი მეოთხედის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო, მაგრამ ბოლოსკენ ჩვენებს, რომელთა შორისაც საუკეთესო 24-ქულიანი ლევან შენგელია იყო, თავი აღარ მოუკლავთ და მატჩი სკანდინავიელთა გამარჯვებით დასრულდა.

AFP კარდიფიდან

მაუს არაკები, ლაპარაკები და რაფას ფაქტი

ლივერპულმა ოთხკაპიტნიანი ჩელსი წაახდინა



გზაში დასაწევი ინფორმაცია საქართველოს ნაკრებისთვის

ქარიშხალას თოხლო თუ მწვარი?

სახურავგადაჯეჯილებული სასტუმრო „ფოროიარი“

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები კოპენჰაგენის გავლით ფარერების დედაქალაქ ტორსჰავნში ჩავიდა და „ფოროიარში“ დაბინავდა. ეს ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო, ისევე როგორც მთლიანად ფარერის კუნძულები, ძალიან განსაკუთრებულია — სასტუმროს მთელ სახურავზე დეკორატიული ბალახია. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ამ ბალახზე არ მოუწევს ვარჯიში, შენობის ასეთნაირად გადახურვა, უბრალოდ, ნორდული ტრადიციაა



საქართველოს ნაკრებს ევრო 2008-ის შესარჩევი ტოფტირის ამ სტადიონზე დაეწყება

„ფოროიარი“, ფაქტობრივად, ქალაქგარეთ მდებარეობს, თუმც ქალაქიდან ოდენ კილომეტრნახევრითაა დაშორებული.

ნორდული მითოლოგიით, ტორსჰავნი ქარიშხლისა და ჭექა-ქუხილის ღმერთის ნავსაყუდელს ნიშნავს, ფარერის კუნძულები კი დანიურად ცხვრების კუნძულს, რამეთუ ფარერებზე შინაურ-გასტრონომიული ცხოველებიდან ოდენ ცხვარი ჰყავთ მოშენებული.

მაინც, სად ჩავიდა საქართველოს ნაკრები? ფარერების ისტორიის შესახებ ცნობები მხოლოდ მე-9 საუკუნიდან მოიპოვება ნორვეგიულ საგებში. ნორვეგიელები თანდათან დაეპატრონენ კუნძულებს, შემდეგ ნორვეგია და დანია ერთ სამეფოდ გაერთიანდნენ და, როცა მერე ერთმანეთს გამოეყვნენ, ფარერები დანიას დარჩა.

დიდი ბრიტანეთი დანიაში მეორე მსოფლიო ომის დროს შევიდა, რადგან გერმანია დანიასაც გადასწვდა. ომის დასრულების შემდეგ ბრიტანელებმა ფარერები დატოვეს და კუნძულელებს სახსოვრად მათი აშენებული აეროპორტი დაუტოვეს — ვაგარის აეროპორტი ახლაც ერთადერთია ქვეყანაში, ხოლო რკინიგზა ფარერებზე დღემდე არავის გაუყვანია.

წელიწადში ასი ათასი ტონა — საშუალოდ ასეთია თევზის რეწვა ფარერებზე და მისი ეკონომიკაც, ფაქტობრივად, მხოლოდ თევზის რეწვაზეა დამოკიდებული. ფარერების წლიური ბიუჯეტი 488 მილიონი დოლარია. კუნძულებზე ეკონომიკა ვერ ჰყვავის და სუბსიდიას დანიისგან იღებს. ფარერის კუნძულები დამოუკიდებელი ქვეყანა არაა, უბრალოდ, ფართო ავტონომიით სარგებლობს, მაგრამ ფიფა-უეფაში გაწევრიანება ფარერელებმა მაინც მოახერხეს. დანიის შემდეგ ფარერელთა ყველაზე უახლოესი ეკონომიკური პარტნიორი ბრიტანეთია.

ცხვრის ხორცი, კარტოფილი და ორაგული — ფარერული კერძები ამისგან შედგება. იქაურები ზღვის ფრინველსაც მიირთმევენ, ქარიშხალას კვერცხი კი დელიკატესია და მას ალბათ საქართველოს ნაკრების წევრებიც დააგემოვნებენ.

ოკეანე, კლდოვანი, ბალახმორეული ბორცვები, ტბები, ხისგან ნაგები ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიები — ტურისტულად ფარერები საკმაოდ საინტერესო ალაგია, იქაური ახალგაზრდობა კი უმაღლესი განათლების მისაღებად მეტწილად დანიაში მიდის.

ტორსჰავნი კუნძულ სტრეიმოიზეა, ხოლო მატჩი მეზობელ კუნძულ ეისტუროიზე სოფელ ტოფტირში გაიმართება გრინვიჩის დროით 19 საათზე. სტრეიმოისა და ეისტუროის შორის უვიწროეს არხზე ხიდია გადებული, ფარერებზე ერთადერთი, რომელიც კუნძულებს აკავშირებს.

მოკლედ, საქართველოს ნაკრებს სტრეიმოიდან ეისტუროიმდე საწყლოსნოს გარდა სახმელეთო გზითაც შეუძლია მისვლა. ტორსჰავნსა და ტოფტირს კი ეს ხიდი უშუალოდ არ აკავშირებს. ტოფტირში მოსახლეობა ათასს არ აღემატება და სოფლის მთავარი ღირსშესანიშნაობა სტადიონის გარდა ტოფტავატნის ტბაა, რომლის ფეხით შემოვლას დაახლოებით ორი საათი სჭირდება.

ფეხბურთი ფარერებზე ერთადერთი გავრცელებული სპორტია. ფარერების ეროვნულ ჩემპიონატში ათი გუნდი თამაშობს, რომელთა ფეხბურთელები ნახევრადპროფესიონალები არიან.

დავით თავართქილაძე

მათე ღვინიანიძის სრული დებიუტი

როიტერმა ქართველი კომპლიმენტებით გამოაცილა

მათე ღვინიანიძემ (მარცხნივ) მეორე ბუნდესლიგაც გაიცნო

„მიუნხენ 1860“-ის ქართველი ახალწვეული მათე ღვინიანიძე რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვა. მათემ სავიზო საკითხები უნდა მოაგვაროს გერმანიის საკონსულოში, რის შემდეგაც გუნდს შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ ღვინიანიძემ მიუნხენურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რამდენიმე დღის წინ დერბიში „ბაიერნის“ (3:0) წინააღმდეგ 81 წუთი ითამაშა და მწვრთნელ-სპეციალისტთა ქება დაიმსახურა. გუშინ კი მეორე ბუნდესლიგაში მისი დებიუტიც შედგა — მიუნხენელი „ლომები“ სტუმრად 1:1 ეთამაშნენ „ფიურტს“. ჩვენებურმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

„მათე საქართველოში ჩავა, სავიზო საკითხებს მოაგვარებს და მალევე დაგვიბრუნდება. ძალიან გვიხარია, რომ მისი სახით ნიჭიერი ფეხბურთელი შეგვემატა. ვფიქრობ, ამაში უკვე ბევრი დარწმუნდა“ — განაცხადა „მიუნხენ 1860“-ის მენეჯერმა, ახლო წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა შტეფან როიტერმა.

ძაბა შალამბერიძე

ურალმა ფეიქრიშვილი და დიღმელაშვილი იანვარშიც დაპატიჟა

თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ წამყვანი ფეხბურთელები დავით დიღმელაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი რამდენიმე დღით რუსეთში იყვნენ. მათი რუსეთში წასვლის მიზეზის გასარკვევად გუშინ ფეიქრიშვილს დავუკავშირდით...

— რუსეთის პირველი დივიზიონის ეკატერინბურგის „ურალში“ ვიყავით და ოთხჯერ ვივარჯიშეთ. ეს ყველაფერი გაცნობითი ხასიათის იყო, ვნახეთ, იქ რა სიტუაციაა. „ურალი“ ახლი მესამე ადგილზეა, თუმც პრემიერლიგაში გადასვლას არ ჩქარობს, გვითხრეს, ჯერ სათანადო ბაზა და სტადიონი უნდა გვქონდესო და ამისთვის მუშაობენ კიდეც. „ურალში“ ისიც გვითხრეს, იანვარში აუცილებლად ჩამოდითო. იანვრიდან „ურალი“ ახალი სეზონისთვის დაიწყებს მზადებას და რამდენიმე შეკრებას გაიკეთებს. ჩვენ „ურალში“ ჩარიცხვის საკითხიც მერეღა გადაწყდება — გვითხრა ფეიქრიშვილმა.

ფეიქრიშვილი და დიღმელაშვილი არც იანვარში იქნებიან თავისუფალი აგენტები და თუ „ურალი“ საბოლოოდ გადაწყვეტს მათ აყვანას, „ვიტ ჯორჯიასთან“ მოუწევს მორიგება.

დავით თავართქილაძე

ეკვად-ორი დინამოში

ურტადოს და ანგულოს მერანი გამოცდის

ბაბარა ფილიპოვიჩის ფოტო

კახა კაჭარავა

თბილისის „დინამომ“ გუშინ ორი ეკვადორელი ფეხბურთელი მიიღო — ურტადო და ანგულო. ორივე თავდამსხმელია და 29 წლისა, თავის დროზე კი ეკვადორის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშიათ.

ანგულომაც და ურტადომაც „დინამოსთან“ პირველად გუშინვე ივარჯიშეს, ხოლო დღეს ითამაშებენ კიდეც — დიღმის საწვრთნელ ბაზაზე „დინამო“ ამხანაგურ მატჩს გამართავს თბილისის „მერანთან“ და ეკვადორელთა პირველი გამოცდაც ეს შეხვედრა იქნება.

ვნახოთ, რას იტყვის „დინამოს“ მწვრთნელი კახა კაჭარავა. ისე კი, ამბობენ, ორივე ეკვადორელი „დინამოსთვის“ გამოსადეგი ფეხბურთელიაო.

კობა ინასარიძე

ბაბარა ფილიპოვიჩის ფოტო

მიხაელ პრეეცი: რა პატარები ვიყავით მაშინ...

...ის ამბავი გეხსომებათ, „ჰერტა“ — „ამერის“ მატჩის წინ ბერლინის „ფრიდრიხ ლუდვიგ იან შპორტპარკის“ სტადიონის დიქტორი ორი დღე ქართული გვარების სწორად წარმოთქმაში რომ მეცადინეობდა. თუმცა ტყუილად... მოგვიანებით გაირკვა, ამ კაცს ქართული ხმოვან-თანხმოვნები ეგრეც ვერ გაუზუთხავს.

როცა გავიგე, რომ გერმანელი დიქტორი ქართულში ვარჯიშობდა, მაშინ კი მართლაც დავინტერესდი და ერთი სული მქონდა, მატჩის წინ სტადიონზე მომესმინა, როგორ გაიჟღერებდა გერმანელისგან წარმოთქმული ქართული „ენისგასატეხი“ გვარები. თქვენც არ მომიკვდეთ, ყველაფერი რიგზე იყო, ოღონდ... ნუმერ ზეგსცენ, გამოაცხადებდა გერმანელი და მერე სუფთა ქართულით — ზურაბ ქვაჩახია! ნუმერ ზეგს, ამბობს ადგილობრივი დიქტორი, დავით მჭედლიშვილი! — აგრძელებს ქართველი. თურმე ნუ იტყვით, იმ საბრალომ ქართული გვარების გამოთქმა რომ ვერ აითვისა, დახმარება ბერლინში მცხოვრები ქართველისთვის უთხოვია.

მოკლედ, „ჰერტა“ — „ამერამდე“ ბერლინში, მგონი, ამერელთა ძნელად გამოსათქმელ გვარებზე უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე მომავალ შეხვედრაზე.

მაგალითად, „ბერლინერ ცაიტუნგს“ თუ ვერწმუნებით, „ჰერტას“ მწვრთნელ ფალკო გიოტცს ერთი მატჩამდელი თეორიული მეცადინეობა ლამის ჩაუშლია კიდეც. როცა გიოტცი თავის შეგირდებს ამერელთა მოსალოდნელ ტაქტიკაზე ესაუბრებოდა და ერთ-ერთი ქართველის გვარი უნდა გამოეთქვა, ენა ისე მოსტეხია, ნერვებმოშლილს ტაქტიკური ნახაზის დაფა კედლიდან ჩამოუგლეჯია, რასაც „ჰერტაში“ დიდი მხიარულება გამოუწვევია.

მიხაელ პრეეცი

ბერლინელები „ყვითლებისგან“ ყველაზე ძალიან რატი წინამძღვრიშვილს უფრთხოდნენ, ეს იგრძნობოდა ჩვენი კოლეგებისა თუ თავად გერმანელთა მწვრთნელის გამონათქვამებიდან, თუმცა გიოტცი ამ ფეხბურთელის გვარს, ცხადია, დამახინჯებით წარმოთქვამდა და, უნდა მიმხვდარიყავი, რომ წინამძღვრიშვილს გულისხმობდა. მე კი ერთი კოლეგა მატჩამდე პრესცენტრში გამომეცნაურა და რატის საოთადარიგოობის მიზეზი მკითხა, ხოლო მეორე, „ბილდის“ ჟურნალისტი, შესვენებაზე გვერდით მომიჯდა და გაოცებულმა მკითხა: განაცხადში მეთერთმეტე ნომერი ის წინამძღვრიშვილია, საქართველოს ნაკრებში რომ თამაშობსო... პასუხის შემდეგ გაოცებული თავის სკამზე გადაჯდა და მთელი 45 წუთი იმეორებდა, მწვრთნელი რატის როდის ათამაშებსო. მწვრთნელმა კი რატი მე-80 წუთიდან ათამაშა და დარჩენილ დროში ამ ფორვარდმა მასპინძლები ერთი-ორჯერ აანერვიულა. ეს ამბავი მაშინ იყო, როცა „ამერმა“ თამაში გაათანაბრა, ბურთი მოედნის ცენტრში აიტანა და „ჰერტას“ მეტ-ნაკლებად მწვავედაც დაემუქრა.

ქართველები, რომლებიც დაახლოებით ასკაციან ჯგუფად ერთ სექტორში ისხდნენ, ჩვენებს ამხნევებდნენ და უფრო თამამი თამაშისკენ მოუწოდებდნენ, ხოლო გერმანელებმა ერთი-ორი წუთი სტვენით აიკლეს სტადიონი, ისინი ვოლს ითხოვდნენ, რომელიც სულ ბოლოსღა ნ.ხეს.

სხვათა შორის, 19 500-იანი სტადიონი ორი-მესამედით სავსე იყო და ნამატჩევს ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ ამდენ ქომაგს არც ელოდნენ. მაყურებლის სიმრავლე, ალბათ, ბილეთის ფასმაც განაპირობა, რომელიც 5-დან 12 ევრომდე ღირდა.

...ბერლინიდან ჩამოტანილ ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვით. ალბათ, გახსოვთ, მიხაელ პრეეცი, „ჰერტას“ კაპიტანი, ლიდერი და თავის დროზე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი. ახლა ის ბერლინური კლუბის სპორტული დირექტორია, 25 წლის წინ კი დიუსელდორფის „რაინშტადიონის“ სარბენ ბილიკებზე იდგა და თასების თასის ფინალში თბილისის „დინამოს“ და იენის „კარლს ცაისს“ აუტზე გადაგდებულ ბურთებს უბრუნებდა.

— პატარა კი ვიყავი, მაგრამ მახსოვს, მაშინ თბილისის „დინამოს“ ტრიბუნიდან ძალიან ცოტა ხალხი ქომაგობდა. მიკვირდა, ფინალს მეტი ქართველი რომ არ დაესწრო — თქვა 25 წლის შემდეგ მიხაელ პრეეცმა.

რა იცოდა პატარა პრეეცმა, რა ქვეყანაში ვცხოვრობდით მაშინ...

კობა ინასარიძე

საქართველოს პირველი ლიგა 18 ჩემპიონატი I წრე. I ტური

პირველის პირველი ორად გაიყო

დღეს პირველი ლიგის გათამაშება იწყება. 2006-07 წლების სეზონში პირველ ლიგაში თვრამეტი გუნდი ითამაშებს და ჩემპიონატი ორ წრედ ჩატარდება.

პირველი ტური ორ დღეზეა გადანაწილებული დღეს ხუთი თამაში გაიმართება, ხვალ — ოთხი.

მოკლედ, დღეიდან პირველლიგელებიც იწყებენ და აი, საპირველტურო წყვილებიც:

დღეს

მერცხალი ოზურგეთი — გაგრა

მესხეთი ახალციხე — მაღაროელი ჭიათურა

ზესტაფონი 2 — სამტრედია

ამერი 2 თბილისი — ოლიმპი თბილისი

ჩიხურა 2 საჩხერე — მეშაძრე აგარა

ხვალ

სპარტაკი თბილისი — გურია ლანჩხუთი

ნორჩი დინამოელი თბილისი — დინამო 2 თბილისი

რაჭა ონი — მეშახტე ტყიბული

მგლები ზუგდიდი — ვიტ ჯორჯია 2 თბილისი

ბაბარა ფილიპოვიჩის ფოტო

ფეხბურთის კლუბი ამერი ულოცავს კლუბის პრესსამსახურის უფროს
გიორგი დარჯანიას და თეა კიკნაველიძეს
ანასტასიას
დაბადებას.
ჯანმრთელობა, დიეგრძელობა და ულევი სიხარული!

გუშინ დულუნგარიშვილის ფოტო

ერთი გუნდის ამბავი

შაბათს კინოთეატრ „ამირანში“ დოკუმენტურ ფილმ „ერთი გუნდის“ პრემიერა შედგა. ფილმი, მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრებზეა გადაღებული და ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების დაახლოვებას ითვალისწინებს.

„ამირანის“ დიდ ეკრანზე ნაჩვენებმა კადრებმა დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა, კმაყოფილი გახლდათ ფილმის რეჟისორი სერგი გვარჯალაძეც, ვინც გადამღებ ჯგუფთან ერთად ნაკრებს ავსტრიულ შეკრებაზე ახლდა და ფილმის დიდი ნაწილიც იქაა გადაღებული.

„ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“ — ამ სიტყვებით მთავრდება ფილმი, რომელსაც გულშემატკივარი მალე ტელეეკრანზეც ნახავს.

კახა შალამბერიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

დონადონიმ ჩემპიონები ნაკრებიდან გაათავისუფლა



16 აგვისტოს იტალიის ნაკრების ახალ მწვრთნელ რობერტო დონადონის დებიუტი აქვს — „სკუადრა აძურა“ ლივორნოში ხორვატიას ამხანაგურად გაეჯიბრება.

საინტერესოა, რომ საამმატჩოდ დონადონიმ მხოლოდ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი გამოიძახა — მარკო ამელია, ვინც მუნდიალზე მესამე მეკარე გახლდათ. შვიდმა ფეხბურთელმა კი სულაც პირველად მიიღო ნაკრებიდან მიწვევა — ფალკონე, ტერლიცი, დელვეკიო, გობი, მორონე, პალომბო და როკი აქამდე „სკუადრა აძურაში“ არასოდეს გამოჩენილან.

მეკარეები: მარკო ამელია (ლივორნო), ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი);

მცველები: დანიელე ბონერა (მილანი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), ჯულიო ფალკონე (სამპდორია), მანუელ პასკუალი (ფიორენტინა), კრისტიან ტერლიცი (პალერმო), ლუჩანო ძური (ლაციო), კრისტიან ძენონი (სამპდორია);

ნახევარმცველები: მასიმო ამბროზინი (მილანი), ჯენარო დელვეკიო (სამპდორია), მასიმო გობი (ფიორენტინა), ფაბიო ლივერანი (ფიორენტინა), სტეფანო მორონე (ლივორნო), ანჯელო პალომბო (სამპდორია), ფრანკო სემიოლი (კიევი), მაურო ესპოზიტო (კალიარი);

თავდამსხმელები: ანდრეა კარაჩოლო (პალერმო), დავიდე დი მიკელე (პალერმო), ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), კრისტიანო ლუკარელი (ლივორნო), ტომაზო როკი (ლაციო).

კახა შალამბერიძე

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველთა საყურადღებოდ!

2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფან-კლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW.GFF.GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის“ ფილიალებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

geo_geo_fan@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ერთი გუნდი ვართ! — გაიძახიან გულშემატკივრები და იმედი გვაქვს, ნაკრების ფეხბურთელებიც ამ აზრზე არიან. ამას მალე დავინახავთ, შესარჩევი ციკლი ორიოდ დღეში იწყება, იქამდე კი ჩვენს რუბრიკაში ქომაგთა ციკლისწინა წერილების წაკითხვის დროა...

PATSO: გაუმარჯოს „სარბიელს“! აი, კარს მოგვადგა ახალი შესარჩევი ციკლი. ფარერებზე აუცილებლად უნდა მოვიგოთ, თორემ არ მგონია, ახალგარემონტებული 60-ათასიანი „ეროვნული“ გაივსოს. არც ის მგონია, ადვილად წამოვიღოთ მეთევზეებისგან 3 ქულა. არველაძისა და ხიზანიშვილის თამაში, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ დაცვაში მაინც პრობლემებია. ჩემი აზრით, კალაძისა და ხიზანიშვილის არყოფნაში დაცვის ცენტრში ასათიანმა უნდა ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში, პირველი ტაიმი მაინც. მერე, თუ გოლი ვერ გავიტანეთ, მისი წინ აწევაც შეიძლება. ის ხომ არაერთხელ წასულა შეტევაში „ლოკომოტივში“ თამაშისას მატჩის მიწურულს. სქემა ალბათ ისევ ის იქნება, რაც აქამდე იყო ტოპის ხელში — 4-3-2-1. იმ ხალხიდან, ვინც ფარერებზე მიდის, 11 კაცის ჩემებური ვარიანტი ასეთია: ლომაია, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, კვირკველია, გოგუა, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, იაშვილი, მუჯირი, არველაძე.

P.S. ჩემი აზრით, საერთოდაც და, მით უმეტეს, კალაძის არყოფნაში, ნაკრებს კობიმ უნდა უკაპიტნოს. მას ამის გამოცდილებაც აქვს. რამდენიმე სეზონი ბუნდესლიგის კლუბს კაპიტნობდა და ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ამ ნაკრებში ყველაზე მეტი „ქეცბაია“ ის არის.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ!!!

იმედი მაქვს, ფარერებზე წაგების შემთხვევაშიც გაიცხება ახალგარემონტებული „ეროვნული“ — თუნდაც საფრანგეთის სანახავად. უფრო დიდი იმედი კი იმის მაქვს, რომ ფარერებზე მოვიგებთ. კიდევ იმის იმედი მაქვს, რომ მწვრთნელი ფეხბურთელებს ჩაავონებს, ამათმა მეთევზეობამ არ გაგაყოლოჩინოთო. და თუ ეს ჩაგონა, მაშინ იმედი კი არა, დარწმუნებული ვიტყვი, რომ ჩვენ მოვიგებთ.

DATO9998: გამარჯობა! ამ აჟიოტაჟს რომ ვხედავ, სულ წინა წლები მახსენდება, როცა დიდი ამბით ვიწყებდით და როგორ გასრულებდით ციკლს, კარგად გახსოვთ ალბათ. მთავარია, ნაკრების წინაშე რეალური ამოცანები დავაყენოთ და შეუძლებელს ნუ მოვთხოვთ, გინდ ტოპმოილერი იყოს მწვრთნელი და გინდ სხვა. აი, ახლაც დარწმუნებული ვარ, ფარერებთან საკმაოდ რთული თამაში გველის, ვისაც უეჭველი სამი ქულა ჰგონია, ძალიან ცდება.

აბა, წარმატებები თქვენს გაზეთსაც და ნაკრებსაც.

დიახ, რთული თამაში გველის. ჩვენი მთავარი მეტოქე გადამეტებული თავდაჯერებულობა თუ იქნება. და თუ ამ მტერს დავამარცხებთ, იბერიის გაბრწყინებისკენ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ.

AILAT2006: „სარბიელს“ გაუმარჯოს! თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა მინდა გადავუხადო ფკ ამერის მთელ გუნდს, პირველ რიგში, მის მეპატრონეებს, რათა შთაუნერგეს ფეხბურთელებს, რომ თამაში ყველასთან შეიძლება. ყველა ჩვენი ბოლოდროინდელი წარუმატებლობა ხომ უაზრო პესიმიზმის შედეგია, რომელსაც ასე წარმატებით გვინერგავდნენ გარეული თუ შინაური მტრები. ხოლო „ამერმა“ შეძლო ამ ეგრეთ წოდებული ფსიქოლოგიური ბლოკადის გარღვევა. შეიძლება იგივე მტრებმა მაინც წამოგვაძახონ, რა დიდი შედეგი ეგ არისო, ხომ მაინც წააგესო, მაგრამ არა, ეს წაგება წაგება არ არის იმიტომ, რომ სხვა ჩვენს გუნდებს მიეცემათ იმის რწმენა, რომ უკვე დღეს, მიუხედავად ყველაფრისა, შეიძლება წარმატების მიღწევა. ყოველ შემთხვევაში, შერცხვენის აცილება მაინც.. აქამდე ხომ ბუნდესლიგის ერთ-ერთ წარმატებულ გუნდთან კი არა, საშუალოზე დაბალ ევროპულ გუნდებთან გვეჭრებოდა თავი. გაიხსენეთ, ნაირნაირი 8:2-ები.

მოკლედ, ყოჩაღ და თქვენ, ამერელებო, ყოფილხართ ჯიგრები და ჩვენ, ქართული ფეხბურთის ქომაგებს, მოგვეცით წელში გამართვის საშუალება.

გთხოვთ, ეს წერილი გამოაქვეყნოთ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ხალხი ყველაფერს ამჩნევს და კარგის დამფასებლები უამრავი ვართ.

P.S. ვაკელი ქომაგები ფკ ამერს უცხადებენ სრულ მხარდაჭერას.

წინა წერილების კომენტარებად დავწერე, რომ ზედმეტი თავდაჯერებულობა დამლუპველია. აი, ამ წერილის კომენტარად კი მოგახსენებთ, რომ ზედმეტი შიში და უიმედობა უარესია. ხოლო ქართულ გუნდს ბუნდესლიგურისა რომ არ შეეშინდა და თამაში გასახდელშივე არ წააგო, რაღაცას ალბათ ნიშნავს.

WEB-ოსტატი გუარა

P.S. როგორც შეგვატყობინეს, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ფარერებზეც გახსნილი იყო ფან-კლუბები. თევზმჭერი სეინერი „კიკინგი“ საფრანგეთის ნაკრებს ქომაგობდა. ლუდხანა „ოქროს თევზი და გლობუსი“-ში „სკუადრა აძურას“ გულშემატკივრები იკრიბებოდნენ, ბრაზილიას კაფე „ინტერნაციონალში“ ფანობდნენ, კოტ დივუარს კი კოტ დივუარის საკონსულოში კლერკებად მომუშავე მისტერ ამუნდსენი და მისტერ პედერსენი უჭერდნენ მხარს...



geo_geo_fan@hotmail.com

ჩვენ ხომ კანი გვყავს!

ერთტაიმიანი საზიზღრობა ჰამბურგში

ოლივერ კანი მეხუთასე ბუნდესლიგური მატჩიდან მშრალად გამოძვრა

გერმანია
ბუნდესლიგა
I ტური

შალკე 1:1 აინტრახტი

1:0 ჰალილ ალტინტოპი (30), 1:1 ამანატიდისი (72)

ლინკოლნმა ვერ გაიტანა პენალტი (51, ააცილა)

შალკე: ფ. როსტი, გ. ვარელა, ბორდონი, დ. როდრიგესი, კობიაშვილი, ჰამიტ ალტინტოპი (იოზილი 80), ბაირამოვიჩი, ლინკოლნი, ჰალილ ალტინტოპი, კურანი, ლოვენკრანდსი (ასამოა 75)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

აინტრახტი: ბრიოლი, რემერი, რუსი, ვასოსკი, შეიხერი, ჩიმენი (ჟ. ოხსი 67), ა. შტრაიტი, კოლერი, ა. მეიერი (რაინჰარდი 46), ამანატიდისი, ტურკი (ბროისი 80)

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

გაფრთხილება: ჰამიტ ალტინტოპი, ჩიმენი, ამანატიდისი

მსაჯი: შტარკი

61 482 მაყურებელი

ბაიერნი 2:0 დორტმუნდი

1:0 მაკაი (24), 2:0 შვაინშტაიგერი (55)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ჰარგრივსი, ოტლი, სალიჰამიჯიჩი (დოს სანტოსი 90), შვაინშტაიგერი (შოლი 85), მაკაი (პოდოლსკი 88), სანტა კრუზი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ფ. დეგენი (ოდონკორი 66), ბრჟენსკა, კ. მეცელდერი, დედე, კელი (ნ. საპინი 19; შმოლარეკი 78), კრუშკა, კრინგე, პიენაარი, ფრაი, ნ. ვალდესი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

გაფრთხილება: მაკაი, კრუშკა, ფრაი

მსაჯი: კირხერი

49 000 მაყურებელი

ჰანოვერი 2:4 ვერდერი

0:1 დიეგო (20), 1:1 შტაინერი (40), 2:1 ჰაშემიანი (67), 2:2 უგო ალმეიდა (79), 2:3 კლოზე (85), 2:4 იენსენი (90)

ბოროვსკიმ ვერ გაიტანა პენალტი (43, ააცილა)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ფარენჰორსტი, ზურავი, ტარნატი, ბალიტჩი, იანკოვი (შრიოტერი 87), ჰუშტი, ბრუგინკი (ბრდარიჩი 68), შტაინერი, ჰაშემიანი (როზენტალი 76)

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, პასანენი, ნალდო, ვომე, ფ. ბაუმანი (ჰუნტი 71), ფრინსი, ბოროვსკი (დ. იენსენი 59), დიეგო, კლოზე, კლასნიჩი (უგო ალმეიდა 76)

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: ზურავი, დიეგო, რომე, ჰუნტი

მსაჯი: ვაკი

49 000 მაყურებელი

ჰამბურგი 1:1 არმინია

0:1 აიგლერი (32), 1:1 სანოგო (67)

ჰამბურგი: კირშტაინი, მაჰდავიკია, ბ. რაინჰარდტი, კომპანი, ატუბა (ტროხოვსკი 59), დემელი, დე იონგი (ბერიშა 78), იაროლიმი, ვან დერ ვაარტი, სანოგო, გერერო (ლაუტი 59)

მწვრთნელი: თომას დოლი

არმინია: ჰაინი, კორტინეცი, ვესტერმანი, გაბრიელი, შულერი, კამპერი (კუჩერა 80), კაუფი, ტ. მარქსი, მასმანიდისი, აიგლერი (აპანფუფი 61), ვიშნიარეკი (დ. კობილიკი 71)

მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი

გაფრთხილება: იაროლიმი, კაუფი, ვან დერ ვაარტი, შულერი, კომპანი

მსაჯი: ფლაიშერი

49 713 მაყურებელი

ვოლფსბურგი 0:0 ჰერტა

ვოლფსბურგი: იენჩი, მიორლე, მადლუნგი, ჰოფლანდი, ვან დერ ჰიდენი (შტიგმაიერი 71), ვან დერ ლეეგტე, სანტანა, მაკიადი, კრეინოვეკი, ჰანკე (ჰუგენდორპი 75), კლიმოვიჩი

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

ჰერტა: ფიდლერი, ჩაპედი, ა. ფრიდრიხი, ვან დერ ბურიკი, ფატი, დარდაი, კაირო (ებერტი 64), ბაშთურქი, ფილბერტო, პანტელიჩი (კ. ხიმენესი 72), ლაკიჩი (ედე 90)

მწვრთნელი: ფალკო გიოტეი

გაფრთხილება: ვან დერ ლეეგტე, ვან ბურიკი, შტიგმაიერი, ჰუგენდორპი, ჰოფლანდი

მსაჯი: კინჰოფერი

23 496 მაყურებელი

ლევერკუზენი 3:0 ალემანია

1:0 რამელო (32), 2:0 კასტრო (45), 3:0 როლფსი (60)

ლევერკუზენი: ბუტი, კასტრო, ჰაგუი, ფუანი, შტენმანი, რამელო, როლფსი, ბ. შნაიდერი (ბაბიჩი 73), ბარნეტა (ფრაიერი 66), ბარბარესი, კისლინგი (ვორონინი 78)

მწვრთნელი: მიხაელ სკიბე

ალემანია: ნიხტი, ს. პინტო, კლიცპერა, ნ. ჰერციგი (კასპერი 44), ლეივაკაბეესი, პლასენრიხი, მ. ლემანი (ფაილი 65), რეგეკამპფი, ნოლი, როსლერი (ს. შტრაუბი 24), ებერსი

მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი

გაფრთხილება: როლფსი, კისლინგი, ბარბარესი

გაძევება: ნიხტი (22), ბაბიჩი (80)

მსაჯი: შიპელი

22 500 მაყურებელი

შტუტგარტი 0:3 ნიურნბერგი

0:1 ვიტეკი (37), 0:2 შროტი (45), 0:3 საენკო (78)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ოსორიო, ბაბელი, დელპიერი, ჰიცლშპერგერი, ჰარდო, ა. ფარნერუდი, ბიროზკა (და სილვა 60), ტომასონი, ჰიბერტი, გომეში (კაკუ 60)

მწვრთნელი: არმინ ფეე

ნიურნბერგი: რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი, კრისტიანსენი, გალაშეკი (თ. პაულუსი 79), მნარი, ბანოვიჩი, ვიტეკი (ბენკო 86), საენკო, შროტი (სიბონი 85)

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: ჰიცლშპერგერი, საენკო, შროტი

მსაჯი: მეიერი

39 000 მაყურებელი

გლადბახი 2:0 კოტბუსი

1:0 სვენსონი (51), 2:0 ნოვილი (60პ)

გლადბახი: კელერი, ბოგელუნდი, ბ. სვენსონი, ზე ანტონიო, მ. იანსენი, პოლანსკი, კლუგე (ელ ფაკირი 70), რაფაელი (სვერკოში 81), ინსუა, დელურა, ნოვილი (კირხი 87)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

კოტბუსი: ჰიპლიცა, შელესი, მაკკენა, კუკილკა, სიდნეი, თ. როსტი, აიდოო, კიუუცელი (ბაუმგარტი 68), შაო, მუნტანუ (რივიჩი 66), რადუ (გუნჯელი 81)

მწვრთნელი: ჰეტრიკ სანდერი

გაფრთხილება: სიდნეი, აიდოო, როსტი, შაო, აიდოო, შელესი

გაძევება: აიდოო (54)

მსაჯი: გაგელმანი

47 638 მაყურებელი

მაინცი 2:1 ბოხუმი

1:0 დამი (29), 2:0 აზაუაგი (71პ), 2:1 ცდებელი (86)

მაინცი: ვაზე, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, პეკოვიჩი, ფ. გერბერი, ფიულნერი, აზაუაგი (ბაბაეი 83), დამი (საბიჩი 80), დიაკიტე (ივანოვიჩი 69)

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

ბოხუმი: სკოვ-იენსენი, ბ. ლენსე, მალტრიცი, დრსეკი, ჰ. ბიონიგი (ვან ჰუტი 87), დაბროვსკი (ბუტჩერი 79), ცდებელი, ო. შრიოდერი (ილიჩევიჩი 58), ტროიანი, ფაბიო ფუნიორი, ბუერი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

გაფრთხილება: პეკოვიჩი, დაბროვსკი, გერბერი, ფაბიო ფუნიორი, ცდებელი

მსაჯი: ვაინერი

20 000 მაყურებელი

საამსეზონო ბუნდესლიგის პირველი გოლი რიო მაკაის ანგარიშზეა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა დაახლოებით 18 მეტრიდან გაუტანა ვაიდენფელერს, რომელიც მანამდეც რამდენჯერმე გადაახტუნა, ერთხელ კი ძელსაც ჰკრა ბურთი. მაკაი გოლამდე პირისპირაც გავიდა ვაიდენფელერთან, მაგრამ ვერ აჯობა.

სტუმართაგან ნელსონ ვალდესს შეეძლო გათანაბრება, როცა ჰარგრივსის შეცდომის შედეგად კანთან აღმოჩნდა, თუმც მეკარემ იყოჩაღა.

მეორე გოლი შესვენების შემდეგ შვაინშტაიგერმა მიითვალა. საჯარიმოს გარედან ჭკვიანურად დაარტყა და კუთხეში ჩაუსვა ბურთი ვაიდენფელერს.

„ბაიერნის“ გენერალური მენეჯერი ული ჰაინესი, ცხადია, გახარებული იყო, სეზონის წინ ხომ გუნდმა უხეიროდ ითამაშა ამხანაგურ მატჩებში. „სრულიად განსხვავებული „ბაიერნი“ ვნახეთ — განაცხადა მენეჯერმა — დისციპლინა იგრძნობოდა და შანსებიც გამოვიყენეთ. მათაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ ჩვენ ხომ ოლივერ კანი გვყავს.“

აქვე ვთქვათ, რომ კანისთვის ეს მე-500 ბუნდესლიგური მატჩი იყო.

ხოლო „დორტმუნდის“ დაღონებულმა მწვრთნელმა ბერტ ვან მარვიიკმა აღნიშნა: „ვფიქრობ, ერთ ქულას ვიმსახურებდით. სამი ახალწვეული გვყავს, რომლებსაც შესაგუებლად ჯერ კიდევ სჭირდებათ დრო და ვიმედოვნებ, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება“.

წინა სეზონში სტუმრად ოდენ სამი მატჩის მომგებმა „ნიურნბერგმა“ შტუტგარტში გაინავარდა და სამი უპასუხო გოლით „დაასაჩუქრა“ მასპინძლები. სლოვაკმა რობერტ ვიტეკმა თავურით გახსნა ანგარიში, მერე კი საგოლე კომბინაცია წამოიწყო, რომელიც მარკუს შროტმა დააგვირგვინა. მეორე ტაიმში შეტევაში თავჩარგული „შტუტგარტი“ კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და ივან საენკომ მესამედ გამოატანინა ბურთი კარიდან ჰილდებრანდს.

ხუთი დღის წინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში „ოსასუნასთან“ ვერმომგებმა (0:0) „ჰამბურგმა“ ბუნდესლიგური სეზონი „არმინიასთან“ მოულოდნელი ფრით დაიწყო. სტუმარმა კრისტინ აიგლერმა, რომელიც გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელია, ძელ-გოლი გაიტანა და ამის შემდეგ ბილეფილდელები დაცვაში მაგრად ჩასხდნენ. როგორ არ ეცადნენ ვან დერ ვაარტი და მისი თანაგუნდელები მეტოქის „კარის შენგრევას“, მაგრამ პირველ ტაიმში ეს ვერ მოახერხეს. მეორეში კი ბუბაკარ სანოგომ თავურით გაათანაბრა. მერე ვან დერ ვაარტმა ააცილა ახლოდან, ხოლო ჰამბურგელთა ალბანელმა ბესტარ ბერიშამ ძელს ლეწა ბურთი.

„არ ვიცი, რა მოგვდის — გაიკვირვა ნამატჩევს სანოგომ — „ოსასუნასთანაც“ და „არმინიასთანაც“ ბლომად შანსები გვქონდა, მაგრამ რატომღაც ვერ ვიყენებთ.“

„პირველ ტაიმში საზიზღრად ვითამაშეთ“ — დაიჩივლა ვან დერ ვაარტმა.

„შალკეს“ ბრაზილიელმა ლინკოლნმა პენალტი ვერ გაიტანა (მეკარემ აუღო) მაშინ, როცა მასპინძლები „აინტრახტს“ ჰალილ ალტინტოპის გოლით უგებდნენ. „კაიზერსლაუტერნიდან“ გადასული ჰალილისთვის ეს პირველი გოლია „შალკეში“.

„აინტრახტმა“ კი „ხუმარების“ მცველთა პირღიაობით ისარგებლა და, ფაქტობრივად, არაფრისგან შექმნა ქულა. რაინჰარდის ჩაწოდებული ბურთის მიღებაში ამანატიდისს ხელი არავინ შეუშალა და მანაც გაათანაბრა.

მასპინძელთა მწვრთნელმა მირკო სლომკამ ნამატჩევს თქვა, ჯოხს ლინკოლნზე ნუ გადავტეხთო. აღსანიშნავია, რომ პენალტის დარტყმას ჰალილ ალტინტოპი აპირებდა, მაგრამ ბრაზილიელმა არ დაანება და „შალკეს“ მაისურით მესამე პენალტი გააფუჭა.

ვაჟა ხუციშვილი

ნიურნბერგი	1	1	0	0	3:0	3
ლევერკუზენი	1	1	0	0	3:0	3
ვერდერი	1	1	0	0	4:2	3
გლადბახი	1	1	0	0	2:0	3
ბაიერნი	1	1	0	0	2:0	3
მაინცი	1	1	0	0	2:1	3
აინტრახტი	1	0	1	0	1:1	1
არმინია	1	0	1	0	1:1	1
შალკე	1	0	1	0	1:1	1
ჰამბურგი	1	0	1	0	1:1	1
ვოლფსბურგი	1	0	1	0	0:0	1
ჰერტა	1	0	1	0	0:0	1
ბოხუმი	1	0	0	1	1:2	0
ჰანოვერი	1	0	0	1	2:4	0
დორტმუნდი	1	0	0	1	0:2	0
კოტბუსი	1	0	0	1	0:2	0
ალემანია	1	0	0	1	0:3	0
შტუტგარტი	1	0	0	1	0:3	0

XXXIV ტური

19 აგვისტო

ვერდერი	:	ლევერკუზენი
ჰერტა	:	ჰანოვერი
დორტმუნდი	:	მაინცი
ნიურნბერგი	:	გლადბახი
არმინია	:	შტუტგარტი
აინტრახტი	:	ვოლფსბურგი
ბოხუმი	:	ბაიერნი
ალემანია	:	შალკე
კოტბუსი	:	ჰამბურგი

მეორე ბუნდესლიგა
I ტური

ბურგჰაუზენი — კარლსრუე 0:4; ოფენბახი — კარლ ცაისი 2:2; კაიზერსლაუტერნი — ესენი 1:0; ბრაუნშვაიგი — პადერბორნი 0:0; დუისბურგი — კობლენცი 2:1; აუე — უნტერჰახინგი 1:0; ფრაიბურგი — ჰანზა 0:0; ფიურტი — მიუნხენი 1:1. აუგსბურგი — კიოლნი დღეს გაიმართება

კარლსრუე	1	1	0	0	4:0	3
დუისბურგი	1	1	0	0	2:1	3
ლაუტერნი	1	1	0	0	1:0	3
აუე	1	1	0	0	1:0	3
ოფენბახი	1	0	1	0	2:2	1
კარლ ცაისი	1	0	1	0	2:2	1
ფიურტი	1	0	1	0	1:1	1
მიუნხენი	1	0	1	0	1:1	1
ფრაიბურგი	1	0	1	0	0:0	1
ბრაუნშვაიგი	1	0	1	0	0:0	1
ჰანზა	1	0	1	0	0:0	1
პადერბორნი	1	0	1	0	0:0	1
აუგსბურგი	0	0	0	0	0:0	0
კიოლნი	0	0	0	0	0:0	0
კობლენცი	1	0	0	1	1:2	0
ესენი	1	0	0	1	0:1	0
უნტერჰახინგი	1	0	0	1	0:1	0
ბურგჰაუზენი	1	0	0	1	0:4	0

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
III ტური

ერფურტი — ოსნაბრიუკი 1:2; დინამო — ალენი 2:1; მაგდებურგი — მიონხენგლადბახი (მ) 3:0; ლიუბეკი — ზანკტ პაული 1:0; ვერდერი (მ) — ემდენი 2:1; ვუპერტალი — კილი 1:1; დორტმუნდი (მ) — ჰამბურგი (მ) 1:2; ჰერტა (მ) — ლევერკუზენი (მ) 2:0; უნიონი — ვილჰელმშავენი 2:0

სამხრეთ რეგიონალლიგა
III ტური

ბაიერნი (მ) — ჰოფენჰაიმი 1:0; დარმშტადტი — ზიგენი 2:1; ელვერსბერგი — კასელი 2:2; ინგოლშტადტი — როიტლინგენი 1:2; კარლსრუე (მ) — ვეჰენი 0:1; ფფულენდორფი — ზაარბრიუკენი 2:2; აალენი — მიუნხენი (მ) 2:2; კაიზერსლაუტერნი (მ) — კიკერსი 0:2; შტუტგარტი (მ) — ბრემასენსი 2:1

მიკუმ ლიონს მიუკაკუნა

იოან მიკუმ (შუაში) „ბორდოს“ მოაგებინა

საფრანგეთი

I დივიზიონი. II ტური

ლორიანი 0:1 ბორდო

0:1 მიკუ (44)

ლიონი 1:1 ტულუზი

1:0 მალუდა (83), 1:1 ფაბინიო (90)

მონაკო 1:2 სენტ ეტიენი

0:1 ფეინდუნო (11), 0:2 პიკიონი (71), 1:2 ჟერარი (86პ)

ნანსი 3:1 სედანი

0:1 პუჟოლი (13), 1:1 გავანონი (77), 2:1 კურბელო (79), 3:1 დოსუნმუ (88)

ნიცა 1:1 ნანტი

1:0 ედერსონი (53), 1:1 როსი (88)

სოშო 1:1 ოსერი

0:1 მატისი (13), 1:1 ბირსა (52)

ტრუა 2:2 ლე მანი

0:1, 0:2 ი. ბანგურა (4, 9), 1:2 სანზი (49), 2:2 დანიჩი (80)

ვალანსიენი 0:0 პსჟ

ლილი 4:0 ლანსი

1:0 ბოდმერი (12), 2:0, 3:0, 4:0 ოდემვინგი (32, 56, 66),

მარსელი 2:0 რენი

1:0 პაგისი (30), 2:0 მაულიდა (85)

„ბორდომ“ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო ისე, რომ გოლი არ გაუშვა და, როგორც ჩანს, ამ სეზონში ღირსეულ კონკურენციას გაუწევს „ლიონს“. „ვერდერიდან“ ნაყიდმა იოან მიკუმ პირველი ტურის მატჩი გამოტოვა, ამჯერად კი ძირითად შემადგენლობაში იყო და გამარჯვების გოლიც მან გაუტანა „ლორიანს“. შეგახსენებთ, რომ „ლორიანმა“ ერთი კვირის წინ თვით პსჟ-ს სძლია პარიზში, თუმც „ბორდოსთან“ ფოკუსი აღარ გამოუვიდა. მიკუმ პირველი ტაიმის მიწურულს ფობერის პასით ახლოდან შეაგდო.

მასპინძლებს კი ამის მერე, უხეშობისთვის ჯერ მიკაელ სინი, შემდეგ კი იაზიდ მანსური გაუძევეს და კაცმეტ ბორდოელებს საქმის ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებიათ.

ჩემპიონმა „ლიონმა“ გამარჯვება ბოლო წუთზე გაუშვა ხელიდან. „ტულუზთან“ მეორე ტაიმის მიწურულს, ფლორენ მალუდას გოლით დაწინაურებულ ლიონელებს სიხარული მალევე გაუნელდათ. მასპინძელთა კაპიტანი კლაუდიო კასაპა სტუმარმა იოან ელმანდერმა გააბითურა და ფაბინიოს გამთანაბრებელი გოლი გაატანინა.

მიჯრით მეორე შეხვედრაში იმარჯვა „ნანსიმ“. წინა ტურში შინ „მონაკოს“ მძლეველმა ნანსელებმა ამჯერად „სედანი“ გაისტუმრეს ხელცარიელი, ოღონდ, უნდა ვთქვათ, რომ სტუმრებს პირველი ტაიმის ბოლოს კრისტოფ ბასტიენი გაუძევეს. მეორე ნახევარში ათკაცა „სედნის“ დაჩოქება კი „ნანსის“ არ გასჭირვებია. სედანელებმა ნახევარ საათს გაუძლეს და მერე ზედიზედ სამი გოლი გაუშვეს.

გახსოვთ, ალბათ, რომ „მონაკოდან“ მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი მიაბრძანეს და მის ნაცვლად ლასლო ბოლონი მიიწვიეს, მაგრამ მის ხელშიც ჯერჯერობით არაფერი ეშველა გუნდს. „მონაკომ“ პირველ ტურში სტუმრად „ნანსისთან“ წააგო, ახლა კი შინ „სენტ ეტიენთანაც“ დამარცხდა. სტუმართაგან პასკალ ფეინდუნომ და ფრედერიკ პიკიონმა შეყარეს გოლები, ხოლო ხერარდ ლოპესმა პენალტით ბოლოსღა გაქვითა ერთი. მონაკოელებს პირველი ტაიმის მიწურულს მოჰამედ კალონი გაუძევეს და ამადაც გაუჭირდა შესვენების შემდეგ.

„ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. მატჩის დასაწყისში არა გვიშავდა, მაგრამ ფეინდუნოს გოლმა და კალონის გაძევებამ საქმე გაგვირთულა“ — თქვა ლასლო ბოლონიმ.

ვაჟა ხუციშვილი

ლილი	2	2	0	0	6:1	6
ნანსი	2	2	0	0	4:1	6
ბორდო	2	2	0	0	3:0	6
ლიონი	2	1	1	0	4:2	4
მარსელი	2	1	1	0	2:0	4
ლე მანი	2	1	1	0	3:2	4
სოშო	2	1	1	0	3:2	4
ლორიანი	2	1	0	1	3:3	3
სენტ ეტიენი	2	1	0	1	3:3	3
ლანსი	2	1	0	1	1:4	3
ოსერი	2	0	2	0	2:2	2
ვალანსიენი	2	0	2	0	1:1	2
პსჟ	2	0	1	1	2:3	1
ტრუა	2	0	1	1	2:3	1
ნიცა	2	0	1	1	1:2	1
ნანტი	2	0	1	1	2:4	1
ტულუზი	2	0	1	1	1:3	1
სედანი	2	0	1	1	1:3	1
მონაკო	2	0	0	2	1:3	0
რენი	2	0	0	2	1:4	0

II დივიზიონი. IV ტური

ბასტია — ბრესტი 4:2; შატორუ — გრენობლი 2:2; კრეტეი — გენიონი 0:0; დიჟონი — რეიმსი 1:0; გენგამი — ლე ავრი 1:2; მეცი — ლიბურნი 1:0; ნიორი — სტრასბური 2:2; ტურსი — აიაჩო 1:0; მონპელიე — ისტრი 4:0. *ამიენი — კაენი დღეს გაიმართება*

ბასტია	4	3	1	0	11:6	10
კაენი	3	3	0	0	5:1	9
მეცი	4	3	0	1	5:2	9
შატორუ	4	2	2	0	10:6	8
ნიორი	4	2	2	0	6:4	8
ლე ავრი	4	2	1	1	8:6	7
გრენობლი	4	2	1	1	7:6	7
რეიმსი	4	2	0	2	4:2	6
ამიენი	3	2	0	1	5:4	6
აიაჩო	4	1	2	1	5:4	5
სტრასბური	4	1	2	1	4:3	5
დიჟონი	4	1	2	1	3:4	5
გენიონი	4	1	1	2	3:2	4
ტურსი	4	1	1	2	3:7	4
მონპელიე	4	1	0	3	6:8	3
კრეტეი	4	0	3	1	2:4	3
გენგამი	4	0	2	2	2:4	2
ისტრი	4	0	2	2	4:11	2
ლიბურნი	4	0	1	3	5:9	1
ბრესტი	4	0	1	3	4:9	1

ბორდონ სტრაჩანი პირიქით და პირაქეთ

შოტლანდია

პრემიერლიგა. III ტური

სელტიკი 2:0 სენტ მირენი

1:0 მაკმანუსი (28), 2:0 ს. პეტროვი (65)

ჰართსი 0:0 ფოლკირკი

ინვერნესი 0:0 ჰიბერნიანი

კილმარნოკი 0:0 დანდი იუნ.

მოზერუელი 0:2 აბერდინი

0:1, 0:2 მაკი (33, 61)

დანფერმლაინი 1:1 რეინჯერსი

0:1 ბუფელი (63), 1:1 ო. მორისონი (69)

სელტიკის ბულგარელმა სტილიან პეტროვმა, რომელსაც ინგლისური „პორტსმუთი“ ეპატიჟებოდა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „თეთრ-მწვანეებისთვის“ ძვირფასი ფეხბურთელია. სწორედ მან გაუტანა მეორე გოლი „სენტ მირენს“ და მეტოქის ცეცხლი გაანელა.

„სელტიკის“ მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა ნამატჩევს თქვა, სამი ქულა კარგია, მაგრამ თამაშით მთლად კმაყოფილი არ ვარო.

„როცა გუნდური თამაში იყო საჭირო, მაშინ ცალ-ცალკე ცდილობდნენ ფონს გასვლას და პირიქით, როცა თავის თავზე უნდა აეღოთ, მაშინ უადგილო პასებს აკეთებდნენ.“

ანგარიში კი მაკმანუსმა გახსნა „სენტ მირენის“ მეკარის შეცდომის წყალობით. სმიტი კუთხურისას კარიდან გამოვიდა და ვერ შეწვდა ბურთს, რომელსაც მაკმანუსმა თავი დაუხვედრა და ცარიელ კარში შეაგდო.

მეორე ტაიმში კი სტილიან პეტროვმა იყოჩაღა. მაკგიდისგან ბურთი მიიღო, საჯარიმოში შევიდა და ახლო კუთხეში გაუტანა სმიტს.

ვერ შეძლო მოგება „ჰართსმა“, რომელმაც წინა ტურში „სელტიკს“ სძლია. ედინბურგელები „ფოლკირკს“ უგოლოდ დაუზავდნენ. აეკ-თან ჩემპიონთა ლიგის მატჩში ნათამაშებ ჰართსელებს დაღლა ეტყობოდათ, ამიტომაც გაუჭირდათ „ფოლკირკთან“.

ირაკლი ნინიძე

ჰართსი	3	2	1	0	4:2	7
ფოლკირკი	3	2	1	0	3:1	7
სელტიკი	3	2	0	1	7:3	6
სენტ მირენი	3	2	0	1	4:3	6
აბერდინი	3	1	2	0	4:2	5
რეინჯერსი	3	1	2	0	5:4	5
კილმარნოკი	3	1	1	1	3:5	4
დანდი იუნ.	3	0	2	1	3:4	2
ინვერნესი	3	0	2	1	2:3	2
ჰიბერნიანი	3	0	2	1	2:3	2
დანფერმლაინი	3	0	1	2	2:4	1
მოზერუელი	3	0	0	3	1:6	0

I დივიზიონი. II ტური

ჰამილტონი — დანდი 1:0; პარტიკი — ერდრი 4:2; ქუინი — სენტ ჯონსტონი 0:1; როსი — ლივინგსტონი 0:3; კლაიდი — გრეტნა 1:2

II დივიზიონი. II ტური

ალოა — პიტერჰედი 1:1; ეარი — კოუდენბითი 0:4; ბრეჩინი — სტირლინგი 0:1; რეითი — ფორფარი 0:0; სტრანრარი — მორტონი 0:3

III დივიზიონი. II ტური

ალბიონი — ისტ ფაიფი 0:1; არბროთი — ბერვიკი 0:1; დამბარტონი — ისტ სტირლინგი 2:0; ელგინი — ქუინზ პარკი 1:2; სტენჰაუზმური — მონტროუზი 5:0

რუსეთი

პრემიერლიგა. XVI ტური

ტომი 2:2 ზენიტი

1:0 კლიმოვი (12), 1:1 ტეკე (14), 1:2 პოშკუსი (19), 2:2 პოგრებნიაკი (90)

სატურნი 1:1 მოსკვა

0:1 პოლოვინჩუკი (56ს.კ.), 1:1 ერიომენკო (71პ)

ლუჩ-ენერგია 1:0 სპარტაკი (ნ)

1:0 აჯინჯალი (86პ)

დინამო 2:3 ცსკა

0:1 ვაგნერ ლავი (40), 0:2 ოლიჩი (48), 1:2 დერლეი (62), 1:3 ვაგნერ ლავი (68), 2:3 დერლეი (75)

ამკარი 0:0 რუბინი

შინიკი 1:1 ტორპედო

0:1 ლუცენკო (11), 1:1 ხაზოვი (83)

სპარტაკი (მ) 3:2 კრილია

1:0 მოცარტი (3), 1:1 მუჯირი (42), 2:1 კაკენაგი (46), 2:2 სკვერნიუკი (69), 3:2 რადოსლავ კოვაჩი (70)

როსტოვი 1:2 ლოკომოტივი

1:0 გოგნიევი (4), 1:1 დ. ტრაორე (73), 1:2 სელსინიო (84)

ნახევარჩემპიონი

გუშინდელი ტურით რუსეთის ჩემპიონატის ნახევარი გაილია და პირველი წრის ჩემპიონი ცსკა გახდა.

არმიელებმა მოსკოვის „დინამოს“ მოუგეს, რომელსაც დროებით მწვრთნელად ანდრეი კობელევი ჰყავს. შეგახსენებთ, რომ კობელევმა ერთი კვირის წინ გადამდგარი იური სიომინი შეცვალა.

დინამოელებს არ ჰყავდათ დისკვალიფიცირებული მეკარე სერგეი ოვჩინიკოვი, ხოლო მისმა შემცვლელმა კარჩემარსკასმა ვერ იკარგა და სამი გოლი გაუშვა.

კვლავ იყოჩაღა ცსკა-ს ბრაზილიელმა ფორვარდმა ვაგნერ ლავმა, რომელმაც დუბლი შეასრულა. ანგარიში მან გახსნა პირველი ტაიმის მიწურულს, მეორის დასაწყისში კი ხორვატმა ოლიჩმა სხვაობა გაზარდა.

ამის შემდეგღა გამოცოცხლდა „დინამო“ და დერლეიმ ერთი გაქვითა, მაგრამ გაზაევმა ჟო შეუშვა, შეტევა გააძლიერა და ვაგნერ ლავმა მეორე გოლი შეაგდო, ხოლო დერლეიმ ერთით კიდევ უპასუხა.

„ზენიტი“ დიკ ადვოკაატის ხელში ჯერ-ჯერობით არ აგებს, თუმც სტუმრად მოგებასაც ვერ ახერხებს. ნევისპირელთა თურქმა ფათიჰ თექემ ტომსკში ერთი გაიტანა და ორ მატჩში ორი გოლი მოუგროვდა. შეგახსენებთ, რომ თურქის დებიუტი ერთი კვირის წინ „შინიკთან“ შეხვედრაში შედგა, რომელშიც „ზენიტმა“ სწორედ მისი გოლით მოიგო.

ნევისპირელთა მეკარე მალოფეევის შეცდომების წყალობით ანგარიში ტომსკელმა კლიმოვმა გახსნა. მალოფეევი უაზროდ გამოვიდა კარიდან და კლიმოვმა ამით ისარგებლა.

ამის მერე ნევისპირელებმა იაქტიურეს, რასაც თექეს და პოშკუსის გოლები მოჰყვა. თექემ 35-ეზე მეორეც შეაგდო, მაგრამ მსაჯმა დაავჯარიმა და რა ჩაუთვალა.

თამაშის ბოლო წუთზე მასპინძლები მარცხისგან პოგრებნიაკმა იხსნა, რომელმაც ნაკუთხურალ ბურთზე მცველებს დაასწრო და თავით გაიტანა.

რამენსკოეში კი „სატურნი“ „მოსკვას“ დაუზავდა და ორივე გოლი სატურნელებმა მიითვალეს. პოლოვინჩუკმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, ხოლო ერიომენკომ პენალტით გაათანაბრა.

ვაჟა ხუციშვილი

სპარტაკი მ.	16	8	7	1	36:21	31
ცსკა	16	9	4	3	26:14	31
სპარტაკი ნ.	16	8	4	4	24:17	28
ლოკომოტივი	16	7	6	3	28:19	27
კრილია	16	6	6	4	25:19	24
ტომი	16	6	6	4	19:15	24
რუბინი	16	6	6	4	18:19	24
ზენიტი	16	5	8	3	21:20	23
მოსკვა	16	5	7	4	17:18	22
ლუჩ-ენერგია	16	6	3	7	21:20	21
სატურნი	16	3	10	3	15:13	19
როსტოვი	16	4	4	8	21:28	16
ტორპედო	16	2	8	6	15:21	14
ამკარი	16	2	7	7	9:23	13
დინამო	16	1	7	8	13:23	10
შინიკი	16	1	5	10	8:26	8

არც საწყობი ვარ და არც ჩამწყობი



ამბობენ, „რეჯინას“ სერია B-ში დაქვეითება ემუქრებაო — ასე დაიწყო კალჩოპოლის მეორე ნახევარი, თუმცა საკუთრივ რეჯოკალაბრიელები, ბუნებრივია, ყველანაირ ბრალდებას უარყოფენ. აი, რას ამბობს მისი პრეზიდენტი ლილო ფოტი:

„ჩვენ მსაჯთა მფარველობა არასდროს გვითხოვია. ეს კარგად ჩანს ჩემი და ფედერაციის თანამშრომლის, მსაჯთა გამანაწილებელ პოლო ბერგამოს სატელეფონო საუბრის ჩანაწერიდან“.

დავაზუსტოთ: „რეჯინას“ ბრალად 2004-05 წლების სეზონის სამი თამაშის გაყალბებას სდებენ. ეს გახლავთ თამაშები „ატალანტას“, „სამპდორიას“ და „პალერმოს“ წინააღმდეგ.

ფოტი: „ჩემი და ბერგამოს ურთიერთობა სამსახურეობრივს არასდროს გაცდენია. ბერგამომ მითხრა, რომ მსაჯობასთან ნებისმიერი პრეტენზია ან პრობლემა პრესამდე უშუალოდ მასთან გამერკვია“.

კიდევ, „რეჯინას“ ბრალს სდებენ, რომ ის „იუვენტუსის“ საწყობის როლს ასრულებდა.

ფოტი: „ჩვენ არავის მონები არ ვყოფილვართ, არც რომელიმე კლუბის და არც რომელიმე დირექტორის. „იუვენტუსისგან“ ბუდიანსკი და ზეიტულაევი საკუთარი სურვილით ვიყიდეთ. თუ გახსოვთ, სწორედ ამის გამო ჩიოდა „იუვე“, რომ ორივე კონტრაქტის პირობები დაირღვა და ამ მოთამაშეებთან ჩვენი ხელშეკრულებების გაუქმების ითხოვდა. ხოლო კიდევ ერთი ბრალდება ჩემი და ანტონიო ჯირაუდოს საუბარს ეხება. დანაშაულებრივი ამ ჩანაწერშიც არაფერია. ჯირაუდო მეუბნება, რომ მოცარტის დოპინგსაწინააღმდეგო ტესტი იმ საუბრის შემდეგ ორშაბათს ჩატარდებოდა. ეს ისედაც ვიცოდი.“

პაპუნა კედია

ვისთვის ჰონდურასი, ვისთვის ჰონდურაკი

სუაცო სარდინიაზე დასახლდა

დავიდ სუაცოზე ამბობდნენ, რომ მას „მილანი“ ან „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყიდისო, მაგრამ ფეხბურთელმა:. 2010 წლამდე „კალიარიში“ დარჩენა ამჯობინა.

შეგახსენებთ, რომ სუაცო ჰონდურასელი თავდამსხმელია, რომელმაც სერია A-ს წინა სეზონის 37 შეხვედრაში 22 გოლი გაიტანა. ასეთი შედეგის წყალობით მან, ბუნებრივია, დიდი სახელი დაიგდო, იმდენად დიდი, რომ ზემოხსენებული ორი გრანდი 10,16 მილიონ ევროს იხდიდა, მაგრამ, აკი მოგახსენეთ, რომ ჰონდურასელი მეგოლე სარდინიაზე დარჩა.

„გაზეთებში ნამდვილი ჯოჯოხეთი მოაწყეს, მაშინ, როდესაც მე იმთავითვე ზუსტად ვიცოდი, რას ვაპირებდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში მშვიდად გახლდით და ზაფხული ჩინებულადაც გავატარე. მოკლედ, „კალიარიში“ ვრჩები და ეს ამბავი ფრიად მახარებს“.

ასე და ამგვარად, სარდინიულმა კლუბმა, რომელმაც სუაცო ჯერ კიდევ 19 წლისა იყიდა „სელანო ოლიმპიასგან“, რაც 1999 წელს მოხდა, შვებით ამოისუნთქა.

სუაცოს სტილით ხშირად ჟორჟ ვეას ადარებენ. ის 26 წლისაა და რაც იტალიაშია, სერია A-სა და B-ში 80 გოლი გაიტანა.

პაპუნა კედია

ფერნანდო ტორესი: ჯერ არ მომინერია

მილანს ფული და უფორვარდობა აწუხებს

„მილანს“ ერნან კრესპოს შეძენაც უნდოდა და ზლატან იბრაჰიმოვიჩისაც, მაგრამ ერთიცა და მეორეც თანაქალაქელმა „ინტერმა“ აწაპნა. მაშ, შავ-წითლებს რაღაო? ალბათ, ეპანელი ფერნანდო ტორესი, რომლის შეძენასაც ისინი ცდილობენ, თუმცა კაკა არ მალავს, რომ რონალდო ურჩევნია.

ფერნანდო ტორესი, მოგეხსენებათ, ის ახალგაზრდა კაცია, რომელიც ყოველთვის დიდ ეფექტს ახდენს. ბოლოს მან მსოფლიოს ჩემპიონატზე დატოვა მოხდენილი შთაბეჭდილება და ისიც სათქმელია, რომ მასზე და „მილანზე“ პირველი წელიწადი არ არის, რაც ლაპარაკობენ. ერთი სიტყვით, ის, რასაც დიდი ხანია ვარაუდობენ, შესაძლოა ახლა ახდეს. ბოლოს და ბოლოს, ანდრეი შევჩენკოს ლონდონის „ჩელსითვის“ 30 მილიონ გირვანქად მიყიდვის შემდეგ მილანელებს მართლა სჭირდებათ ახალი ძლიერი ფორვარდი, მითუფრო, რომ თუ მის ფასს შედარებისთვის კვლავ გირვანქებში ვიტყვით, მთელი 8 მილიონით იაფი გამოგვივა.

ესპანურ გაზეთ **AS**-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ტორესმა განაცხადა: „მე და ჩემი აგენტი „ატლეტიკოსთან“ უკვე რამდენიმე თვეა ვლაპარაკობთ. არასდროს დამიმალავს, რომ თუ საქმე ასარჩევად გახდება, ჩემთვის ნომერ პირველი არჩევანი სწორედ „ატლეტიკო“ იქნება. მინდა, ჩემი და მადრიდული კლუბის ხლშეკრულებას ვადა კიდევ ერთი წლით გაუგრძელდეს, მაგრამ ჯერ ხელი არაფრისთვის მომიწერია“.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „მილანის“ სატრანსფერო აქტიურობა შეჩერებულია და ჩემპიონთა ლიგაში „შავ-წითლებისა“ და „ცრვენა ზვეზდას“ ურთიერთობის გარკვევას ელოდება. მოგეხსენებათ, „მილანმა“ ბელგრადელებს ფილიპო ინძაგის გოლით 1:0 მოუგო, თუმცა ამ ყველაფერში მოულოდნელად საიდანღაც ჩაერია „რეალის“ ბრაზილიელი ვარსკვლავის, ვეტერანი რონალდოს ვარიანტიც. რომ გაიგეს, შესაძლოა რონალდო შევიძინოთო, „შავ-წითლების“ გულშემატკივარს მაინცდამაინც არ გაუხარდა. ყველას კარგად ახსოვს ბრაზილიელის ინტერული თავგადასავალი და მისი იქიდან წასვლის ამბები, მაგრამ გულშემატკივრისგან განსხვავებით კაკა თანამემამულესთან შესაძლო შეყრამ მეცხრე ცაზე აიყვანა.

„ის დიდი ფეხბურთელი და მეგობარია. ძალიან მინდა, რომ „მილანში“ გადმოვიდეს, თუმცა რამდენად ნაღდია ეს ამბავი, მე ნუ მკითხავთ, რადგან რონისთან არ მილაპარაკია. ჰკითხეთ კლუბის ხელმძღვანელებს და ისინი გეტყვიან“ — თქვა გამთამაშებელმა.

პაპუნა კედია

არაბული ზღაპარი ესპანურად დამთავრდა

„ბოლტონის“ მექსიკელმა ფორვარდმა ხარედ ბორგეტიმ დაადასტურა, რომ პრიმერადივიზიონში, სანტანდერის „რასინგში“ გადასვლა გადაწყვიტა.

ბოლტონელთა მწვრთნელმა სემ ალარდაისმა ადრევე განაცხადა, ბორგეტი თავისუფალია და ახალი კლუბი თავად მონახოსო. პრემიერლიგის გუნდი უელვაში იყო სეზონისწინა შეკრებაზე და რასინგელებმაც მექსიკელს იქ მიაკითხეს.

ხარედ ბორგეტიმ წინა სეზონი, ფაქტობრივად, სათადარიგოთა სკამზე გაატარა და ამიტომაც უნდოდა ინგლისიდან გაქცევა.

„ამ დროისთვის ერთადერთი მიზანი მაქვს — განაცხადა ბორგეტიმ — „რასინგთან“ კონტრაქტი უნდა გავაფორმო.“

ამ თვის დასაწყისში ისე ჩანდა, რომ მექსიკელი საუდის არაბეთის „ალ იტიჰადში“ გადადიოდა, მაგრამ არაბული კლუბი ფეხბურთელს კონტრაქტის პირობებზე ვერ მოურიგდა.

ვაჟა ხუციშვილი

უდინეზეს მდგომარეობა: მდგმურობა

იუვემ ბარი დაიჭირა

„უდინეზემ“ პირველი სათასო შეხვედრა სტუმრად გადაიტანა — მელფიში მიდის. როგორც ადრე მოგახსენეთ, უდინეს საფეხბურთო კლუბსა და ქალაქის მუნიციპალიტეტს შორის გაუგებრობაა. კლუბს „სტადიო ფრიულის“ დაქირავება უნდა, მაგრამ იმაზე გაცილებით იაფად, ვიდრე ნაგებობის მეპატრონე მუნიციპალიტეტი ითხოვს. ამასობაში კი იტალიის თასის შეხვედრაც მოადგა კარს — ქენჭისყრამ „უდინეზეს“ მეტოქედ „მელფი დუე“ შეახვედრა, ოღონდ პირველი შეხვედრა უდინეში უნდა გამართულიყო. სწორედ ეს არ აძლევდა სერია A-ს გუნდს ხელს და, როგორც მოგახსენეთ, სარბიელების გაცვლა ითხოვა.

„რაოდენ გამაღიზიანებელიც უნდა იყოს ეს ჩვენი ქომაგებისთვის, იძულებული ვართ, პირველი თამაშის სტუმრად გამართვა ვითხოვოთ, გარდა ამისა, გვესმის, რომ უდინელებს უნდათ, მათმა გუნდმა მეტოქეებს უდინეში უმასპინძლოს, მაგრამ ქალაქის მუნიციპალიტეტის მოთხოვნილი თანხის გადახდა არარეალურია. ვფიქრობთ, ყოველივე ამის ფონზე სერია A-ს პირველი საშინაო მატჩის ჩატარება პადოვაში მოგვიწევს. „სტადიო ეუჯანეო“ ყველაზე რეალური ვარიანტი ჩანს“ — წერია კლუბის განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ პირველ სათასო მატჩს უცხო სტადიონზე ჩაატარებს კალჩოპოლის სკანდალის გამო ყველაზე მეტად დასჯილი ტურინის „იუვენტუსიც“. ტურინელებს დისკვალიფიცირებულ „დელე ალპის“ ბარის სტადიონი „სტადიო სან ნიკოლა“ შეუცვლის, მათი მოწინააღმდეგე კი „მარტინა ფრანკა“ გახლავთ.

პაპუნა კედია

გაგდებულმა ყველა გაიგდო

მანჩინი ნაფიქრალის ჰანაშვილზე

„ტროფეო მორეტიმ“ — ეს კი სამი გუნდის მონაწილეობით გადაბმული თითოტაიმიანი შეჯიბრება გახლავთ — „იუვენტუსის“ თავკაცი დიდიე დეშანი შეგირდებით კმაყოფილი დატოვა, ხოლო „ინტერის“ შეფს რობერტო მანჩინის დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გაუჩინა.

„მიხარია, რადგან ვხედავ, რომ გუნდს გამარჯვებისადმი ლტოლვა ისეთივე აქვს, სხვა პირობებსა და გარემოში რომ ექნებოდა — გაიღიმა დეშანმა — და უმთავრესიც სწორედ ეს გახლავთ, ფეხბურთელები მოედანზე გამარჯვებულის მენტალიტეტით უნდა გადიოდნენ“.

შეჯიბრება, რომელზეც მოგახსენებთ, ნეაპოლის „სტადიო სან პაოლოზე“ გაიმართა. კალჩოპოლის სკანდალის გამო დასჯილი „იუვენტუსისთვის“ ეს გახლდათ თავის გამოჩენის საშუალება და მანაც იგი ხელიდან არ გაუშვა — „ინტერსაც“ და „ნაპოლისაც“ მოუგო, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ნეაპოლელებთან პენალტების სერიაში იმარჯვა. „ინტერს“ მოუგო „ნაპოლიმაც“ — 1:0.

„იუვენტუსის“ მცველი ნიკოლა ლეგროტალიე: „ჩვენ ამ ზაფხულის მოვლენებმა შეურაცხგვყო და ამიტომ მონდომებულნი ვთამაშობდით. „ჩვენ ნამდვილი გუნდი ვართ და დავამტკიცეთ კიდეც, რომ არც ჟინი გვაკლია და არც მტკიცე ხასიათი. მწვრთნელის, დიდიე დეშანის წყალობით ვატყობ, რომ სწორად ვმუშაობთ. გამოცდილი ფეხბურთელები ახალგაზრდა ბიჭებს ცოდნას უზიარებენ“.

თვალშისაცემი გახლდათ, რომ ამ არცთუ მნიშვნელოვან ტურნირში გამარჯვება არავის ისე არ გახარებია, როგორც ტურინულ გაზეთ „ტუტოსპორტს“.

„იუვემ“ ყველას გაკვეთილი ჩაუტარა — წერდა „ტუტოსპორტი“ — სკუდეტო „ინტერს“ მისცეს, მოედანზე კი „იუვენტუსი“ იმარჯვებს. ისწავლე „ინტერო“!

„ინტერმა“, რომელმაც უნდა ისწავლოს, ამ შეჯიბრებაში ვერ ათამაშა ახალშეძენილი ერნან კრესპო, პატრიკ ვიეირა და ზლატან იბრაჰიმოვიჩი. შვედმა ტურნირის მერე ივარჯიშა პირველად ახალი გუნდის შემადგენლობაში, თუმცა მათ მწვრთნელს, რობერტო მანჩინის ეს ხელზე არ დაუხვევია და მეტიც, გვარიანად გაღიზიანებული ჩანდა.

„ეს თამაშები ტაქტიკური ექსპერიმენტებისთვის მეტისმეტად გამოსადეგია, თუმცა ჩემმა ფეხბურთელებმა ბოლო დღეების ნაფიქრალი მოედანზე ვერ გააცოცხლეს. წესით, ისინი გაცილებით მწვავენი უნდა ყოფილიყვნენ“ — განაცხადა მანჩინიმ.

პაპუნა კედია

ფული თუ სიყვარული?

აჯანყებულ ღამურას ფრთებს დაუჭრიან

გასულ კვირას არგენტინელმა მცველმა რობერტო აიალამ „ვალენსია“ რომ აკრიტიკა, ახლა ესპანური გუნდი მის დასჯას აპირებს. შეგახსენებთ, რომ აიალას ვალენსიელთა პრეზიდენტი ხუან ბაუტისტა სოლერი და სპორტული დირექტორი ამადეო კარბონი შემოელანძღა — კონტრაქტის გახანგრძლივებას დამპირდნენ და მომატყუესო.

„მინდოდა კარიერის ბოლომდე „ვალენსიაში“ მეთამაშა, მაგრამ ჩემს ოცნებას ახდენა არ ეწერა, რისი მიზეზიც ორი კაცის უპირობა იყო — განაცხადა აიალამ პრეს კონფერენციაზე — სამწუხაროა, რომ მომატყუა კლუბმა, რომლისთვისაც ძალსა და ღონეს არ ვიშურებდი. ახლა სხვა გზა არ დამრჩენია და როგორც მწვრთნელს, ასევე პრეზიდენტს ჩემი წასვლის ამბავი ვამცნე.“

პასუხად „ვალენსიამ“ განაცხადა, რომ 33 წლის ფეხბურთელს სინამდვილეში მხოლოდ ფული აინტერესებს, ხოლო საუბრები კლუბსა და მის სიყვარულზე, ტყუილია.

„მისმა გამონათქვამებმა თვალი აგვიხილა — წერია ვალენსიელთა ვებგვერდზე კარბონის სიტყვები — ამიერიდან გავაათმაგებთ ყურადღებას, რათა ჩვენს შორის იყვნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომელთაც „ვალენსიას“ გამარჯვებები ნამდვილად სურთ და ჩეკები ნაკლებად აინტერესებთ“.

აიალა „ვალენსიაში“ 2000 წელს გადავიდა. ამბობენ, რომ მისით „ვილიარეალია“ დაინტერესებული, მაგრამ თავად ფეხბურთელი მათთან მოლაპარაკებებს უარყოფს.

პაპუნა კედია



თურმე რა ყოფილა: ალბერტო პარეირასგან ბეკენბაუერობა სდომებიათ

რაღაც პრობლემაა: სამხრეთ აფრიკას ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა უკვე თავისი რომ ეგონა, მთლად ეგრე არ გამოდის. ტელეკომპანია „ო გლობომ“, რომელსაც ეკუთვნის ჩვენს ტელეარხებზე გამავალი ბრაზილიური სერიალების უმეტესობა თქვა, რომ გაურკვევლობა პარეირას მომავალი ფუნქციის სხვადასხვანაირმა გაგებამ გამოიწვია. ზუსტად რა და როგორ არის, არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ჩანს, პარეირას იოჰანესბურგში მხოლოდ მწვრთნელობა უნდოდა, მასპინძლებს კი ის „2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტექნიკურ ორგანიზატორად“ სდომებიათ. გესმით, რა იგულისხმება ამაში?

მოგეხსენებათ, სამხრეთ აფრიკა 2010 წლის მუნდიალის მასპინძელია, ხოლო იქაური ფეხბურთის შეფებმა პარეირასთან დაახლოებით ორი კვირის წინ მოილაპარაკეს და იმ კვირაში ბრაზილიის ნაკრების ყოფილ თავკაცს უკვე იოჰანესბურგში ელოდნენ კიდეც.

კარლოს ალბერტო პარეირას ხელმძღვანელობით ბრაზილიის ეროვნული გუნდი 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ახლახან გერმანიაში პენტაკამპეონები მეოთხედფინალში ფრანგებთან დამარცხდნენ.

პაპუნა კედია

მათხოვე მაკუკულა და დაგიბრუნებ

პრიმერადივიზიონის „ხიმნასტიკმა“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟილი და კონგოელი ფორვარდი არიზა მაკუკულა გადაიბირა.

კლუბის განცხადებით, ჟილი, რომელიც „კრუზეიროდან“ გადავიდა, ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს შემდგომში შესაძლო გახანგრძლივების პირობით, ხოლო მაკუკულა, რომელსაც წინა სეზონი ტრავმის გამო გაუცდა, „სევილიამ“ ათხოვა „ხიმნასტიკს“ ერთი წლით.

შეგახსენებთ — „ხიმნასტიკი“ 56-წლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა პრიმერადივიზიონს. მათ უკვე გაჩარხეს ერთი კარგი ტრანსფერი — მადრიდის „რეალიდან“ მეგოლე ხავიერ პორტილიო წაიყვანეს.

ირაკლი ნინიძე

შვედი სიტის კარში

შვედმა მეკარე ანდრეას ისაკსონმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა პრემიერლიგის „მანჩესტერ სიტისთან“. ამის შესახებ ერთ-ერთმა შვედურმა ტელეარხმა განაცხადა.

„ძალიან მიხარია პრემიერლიგაში გადასვლა და თავს საუცხოოდ ვგრძნობ“ — თქვა მეკარემ, რომელიც „სიტიმ“ ფრანგული „რენისგან“ იყიდა.

მანჩესტერელებმა შვედის სანაცვლოდ, დაახლოებით 3 მილიონ 750 ათასი ევრო გადაუხადეს ფრანგებს.

ანდრეას ისაკსონი შვედეთის ნაკრების პირველი მეკარეა და მსოფლიოს ჩემპიონატზე საუცხოოდ ითამაშა. გერმანიასთან მერვედფინალში 0:2 წააგეს და რომ არა ისაკსონი, მასპინძლები ხუთჯერ მეტს გაიტანდნენ.

გიორგი დარჯანია

ბედზე გამარჯვება

... მწვრთნელისთვის საშინელი და უჩვეულო არაფერი გვითხოვია. უბრალოდ, გვინდოდა, არდადეგებიდან ერთი დღის დაგვიანებით დავბრუნებულიყავით. თან დამრიგებლად ბრაზილიელი გვყავდა და ბიჭებმა ვთქვით, ალბერტო სილვა გაგვიგებსო.

რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაკვირვება, როცა მწვრთნელმა სასტიკად გვიბრძანა, 23 ივლისს აღრე დილით ვარჯიშზე უნდა გამოცხადდეთო. თან ისიც დაუმატა, რომ თუ დავიგვიანებდით, „დეპორტივოს“ პრეზიდენტთან შევიდოდა და ყველაფერს მოახსენებდა. პროფესიონალებმა მარტო საქმეზე უნდა იფიქროთო — ისე გვითხრა სეუ სილვამ, თითქოს ფოლადისგან ყოფილიყო ჩამოსხმული.

არდადეგებზე აღრენილები წავედით. ისე ვიყავი მწვრთნელზე გაბრაზებული, რომ, გადავწყვიტე, დათქმულ დროზე აუცილებლად გადამეტებინა. მაშინ ვფიქრობდი, მაურო სილვა და დონატოც ასევე მოიქცეოდნენ, თუმცა მაურომ დამირეკა და მითხრა, ახლა დამრიგებელთან ჩხუბს არ ვაპირებ და გალისიაში დროულად უნდა დავბრუნდეო. მას დაგვიანების ჩემზე მეტი უფლება ჰქონდა — ბრაზილიის ნაკრებში იყო მიწვეული კოპა ამერიკაზე სათამაშოდ.

რაღა დაგვრჩენოდა, ლა კორუნიაში უნდა გავფრენილიყავით 21 ივლისს, რათა 22-ში დაგვესვენა და მეორე დღეს ვარჯიშზე ფხიზლად ვყოფილიყავით. ბრაზილიაში ესპანეთიდანაც დაგვირეკეს და გაგვაფრთხილეს, არ დაიგვიანოთო. მე ვუპასუხე, რომ ყველაფერი წესრიგში იქნებოდა.

მერე კი ძალიან გაგვაბრაზეს. ესპანეთიდან მორიგი სატელეფონო ზარი მოვიდა — უცებ ვიგებთ, რომ „რიასორზე“ ვარჯიში ერთი დღით გადაიტანეს... ანუ ჩვენ ვიწვალეთ, მწვრთნელს ვეხვეწეთ, არდადეგებზე ოჯახთან რაღაც ერთი დღით მეტ ხანს დავრჩებითო და უარით გაგვისტუმრეს, ხოლო შემდეგ ვარჯიში მაინც გადაიდო.

ამ ამბის გაგებისთანავე მაუროს და დონატოს დავურეკე და ვუთხარი, რა ბალღებივით გვათამაშებენ, არანაირ ვარჯიშზე არ მოვალ-მეთქი. ასეც მოხდა, „დეპორტივოს“ ბაზისკენ მიმავალ ავტობუსში ჩემი ადგილი ცარიელი იყო.

ბაზაზე მანქანით მივედი, ოღონდ არა საღამოს რვაზე, არამედ ათ საათზე, როდესაც ფეხბურთელებმა ვარჯიში უკვე დაასრულეს. ალბერტო სილვამ შეხედვის ღირსადაც არ ჩამთვალა, თანაშემწე ხოსე მარია კორალი მომიგზავნა და შემომითვალა, წვრთნა თეთრმეტის ნახევარზე ორ ფეხბურთელთან, ჯალმინიასთან და რამისთან ერთად დამეწყო. ჯალმინიას ტრავმა ახალი მორჩენილი ჰქონდა, ხოლო რამისი მწვრთნელის ნებართვით, საერთო ვარჯიშის შემდეგ ისევ მოედანზე რჩებოდა დონის ასამაღლებლად.

ვერ მივართვი. მოედანზე გასვლაზე უარი ვთქვი და ნომერს მივაშურე. ბაზაზე მყოფი გუნდის უფროსობაც, რასაკვირველია, ძალიან შეშფოთდა. ჩემს ოთახში ვიზიტები არ წყდებოდა, ხან ერთი შუამავალი შემომეჭრებოდა ხოლმე, ხან მეორე, მწვრთნელს დაუჯერე და ივარჯიშეო. ბოლოს, გული რომ გამიწყალეს, მავან „შიკრიკს“ ასე ვუთხარი: აქ, შენ კი არა, მკვდრეთით აღმდგარი მამაჩემი რომალდო რომ გამომეცხადოს, ვარჯიშზე მაინც არ გავალ-მეთქი. რაღას იზამდნენ, შემეშვნენ...

არც გათენებულიყო, რომ კარლოს ალბერტო სილვამ დამირეკა — მწვრთნელის თქმით, დაუყოვნებლივ ლა კორუნიაში უნდა დავბრუნებულიყავი. მეუბნებოდნენ, რომ იქ „დეპორტივოს“ პრეზიდენტთან მეტად მძიმე შეხვედრა მელოდებოდა. სახლში მივედი, მაგრამ ბრაზილიაში ოჯახთან ვერაფრით ვერ დავრეკე და ძალიან გაენერვიულდი...

მომდევნო ოცდაოთხმა საათმა ლოდინში ჩაიარა. ბოლოს სენიორ აუგუსტო სეზარ ლენდოირომ საჩემო დრო გამონახა და არშემდგარ ვარჯიშზე ვისაუბრეთ. საქმე რთულად იყო, დასჯის მიზნით გუნდიდან 7 დღით მომკვეთეს...

მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, პირველად მომადგა თვალზე ცრემლი, ოღონდ ეს უფრო უილაჯობის ცრემლი იყო, ვიდრე სევდით გამოწვეული. ბრაზილიაში დავბრუნდე თუ სხვა ევროპული კლუბი გამოვძებნო, რომელიც „დეპორთან“ ჩემი კონტრაქტის გაუქმებისთვის საჭირო თანხას გადაიხდის? ხურდა ფულზე ხომ არაა საუბარი, რივალდოს მსურველ გუნდს 4 მილიარდი პესეტი უნდა გადაეხადა...

ლენდოირო კი ძალიან შეძრა ჩემმა მდგომარეობამ. პრეზიდენტი ორ ცეცხლს შორის მოექცა, არც მწვრთნელის გადაკიდება უნდოდა და არც ის სურდა, „დეპორის“ საუკეთესო მრთამაშე „რიასორიდან“ წასულიყო. იფიქრეს გალისიელებმა და, ვითომ, კომპრომისამდე მივიდნენ — ერთი დღით შინაპატიმრობა მომისაჯეს. ბედის მანქანა სრული სისწრაფით მიქროდა და მაშინ, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა სახიფათო მოსახვევსაც მივუახლოვდი — საგზაო ნიშანზე კი დიდი ასოებით ეწერა — „ბარსელონა“...

ელიტა

მოდით, ჩემი საფეხბურთო კარიერა ერთ დიდ, მრავალსართულიან სახლს შევადაროთ. თავიდან რესიფეს უბნის გუნდები იყო, ანუ სარდაფში, ნესტიან ჯურღმულში ვცხოვრობდი. შემდეგ „სანტა კრუზი“, „მოჯი მირიმი“, „პალმეირასი“, „კორინთიანსი“ — ნელ-ნელა წინ მივიწევდი და ბოლოს საშუალოზე მდიდრულ ბინაში, „დეპოტივოშიც“ აღმოვჩნდი. ბრაზილიასთან შედარებით, „დეპორი“ ფანტასტიკა იყო, მაგრამ ბედი თურმე კიდევ უფრო დაწინაურებას მიპირებდა — ბარსელონური ბინა ხომ ყველაზე პრეტიჟულ სართულზეა, მის ზევით უკვე არაფერი აღარ არსებობს...

სეზონათშორისის პერიოდი იყო. სასტუმროს ნომერში უშფოთველად მძინარე, ტელეფონმა გამაღვიძა და არც მეტი, არც ნაკლები, დაუყოვნებლივ „კამპ ნოუზე“ გადასვლის შემოთავაზებაც მივიღე... უფრო დაწვრილებით რომ ვთქვათ, დამირეკა კატალონიელმა აგენტმა, რომელიც უშუალოდ ბრაზილიელი ფეხბურთელების ტრანსფერების სპეციალისტი გახლდათ და განმიცხადა, „ბარსას“ ხელმძღვანელობამ დამავალა, რივალდო „კამპ ნოუზე“, რაც შეიძლება, მოკლე ხანში ჩამოიყვანეო. ვიღას ახსოვდა ძილი და სიზმარი, ისე ვიყავი, თითქოს ერთი კასრი ყინულივით ცივი წყალი გადამასხეს... თავის დროს ხომ მაურო სილვამაც ასე დამირეკა და „პალმეირესიდან“ „დეპორტივოში“ წამიყვანა...

გაგრძელება იქნება

მეცხრე თასი მეცხრე ცაზე

ბენიტესმა მაურინიუს წინა კვირა ანანა

ინგლისი

ქომუნითი შილდი

ჩელსი 1:2 ლივერპული

0:1 რიისე (9), 1:1 შევჩენკო (43), 1:2 კრაუჩი (80)

ჩელსი: კუდიჩინი, ჰ. ფერეირა (მიკელი 81), ტერი, რ. კარვალიუ, ჯერემი (ბრიჯი 53), ესიენი, ლამპარდი, რობენი (ლ. დიარა 62), ბალაკი (კალუ 26), შევჩენკო, დროგბა (შ. რაიტ-ფილიპსი 71)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ლივერპული: რეინა, ფინანი, აგერი, კარაგერი, რიისე, პენანტი (ჯერარდი 60), სისოკო, ზენდენი (ხაბი ალონსო 60), მარკ გონსალესი (ფ. აურელიო 56), ლუის გარსია (ბალაკი 66), კრაუჩი (სინამა-პონიოლი 89)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ბალაკი, ლამპარდი, დიარა, ხაბი ალონსო

მსაჯი: ატკინსონი

56 275 მაყურებელი

სუპერთასი მატჩამდე ერთი კვირით ადრე ჟოზე მაურინიუმ, როგორც სჩვევია, მეტოქის ფსიქოლოგიურად წახდენა სცადა და თქვა, რაფაელ ბენიტესის „ლივერპული“ ჩემპიონი ვერ გახდებაო.

შეიძლება ასეც მოხდეს, „ლივერპული“ ჩემპიონი ვერ გახდეს, მაგრამ გუშინ ბენიტესმა მაურინიუს „ჩელსი“ დაამარცხა და ერთი ფაქტი ცხვირწინ დაუდო — „ლივერპული“ საჩემპიონო ბრძოლისთვის ემზადება.

მატჩის ოქმიდან ჩანს, რომ „ლივერპულს“, „ჩელსისგან“ განსხვავებით, თავიდან ოპტიმალური შემადგენლობა არ ჰყავდა ანუ არ იყვნენ ჯერარდი, ჰიპია და ხაბი ალონსო.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ „ჩელსის“ შემადგენლობაში ახლა უკვე ოთხი ქვეყნის ნაკრების კაპიტანი თამაშობს: ჯონ ტერი (ინგლისი), მიხაელ ბალაკი (გერმანია), ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) და დიდიე დროგბა (კოტ დივუარი). ამათგან ბალაკი ბარძაყის ტრავმის გამო 26-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო შევჩენკომ კოხტა გოლი გაიტანა სადებიუტო ოფიციალურ მატჩში.

შევჩენკომდე კი რიისემ ფანტასტიკური გოლი შეაგდო. თავისი საჯარიმო მოედნის კუთხიდან ირბინა და დაახლოებით 25 მეტრიდან ისეთი ლეწა, რომ კარლო კუდიჩინი უშანსოდ დატოვა.

მეორე ტაიმში „ლივერპულს“ გაუჭირდა და ბენიტესმა ნაცადი ბიჭები შეუშვა: ჯერ სტივენ ჯერარდი და ხაბი ალონსო, მერე კი მათ კრეიგ ბელამიც მიაყოლა და სწორედ უელსელმა აიკლო „ჩელსის“ მარცხენა ფლანგი, საიდანაც გაუკეთა საგოლე პასი პიტერ კრაუჩს. აყლაყუდამ თავით ზუსტად დაარტყა და 1:2. „ლივერპულმა“ მეცხრედ მოიგო თასი და ამ მაჩვენებლით პირველია.

„ძალიან მოხარული ვარ — განაცხადა რაფაელ ბენიტესმა — რადგან გუნდმა გულიანად იშრომა თავიდან ბოლომდე. ეს კარგი დასაწყისია“.

ხოლო ჯადოგოლის ავტორმა რიისემ თქვა: „ჩელსელი მცველები მომდევდნენ და მეც გაქცევა გადავწყვიტე, ბოლოს კი გოლით დავასრულე. ქომაგებს ალბათ გაუკვირდათ, ცოტა შეცვლილი ძირითადი შემადგენლობა რომ ნახეს, მაგრამ ამით პრობლემა არ შეგვქმნია. ჩვენ გვსურდა მოგება და ჩემპიონის დამარცხება ხომ ათმაგად სასიხარულოა“.

კრაუჩმა კი თავი გამოიდო: „ჩელსისთან“ მატჩები ყოველთვის საინტერესო გამოდის. ამბობენ, რომ ეს თასი მნიშვნელოვანი არაა, მაგრამ, აბა, დააკვირდით გულშემატკივრების და ფეხბურთელების რეაქციას, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის“.

ბოლოს კი ერთი ისტორიული ამბავი: 56-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა ფაბიო აურელიო — პირველი ბრაზილიელი „ლივერპულის“ შემადგენლობაში.

ვაჟა ხუციშვილი

სუპერგოლის ავტორ რიისეზე შამპანური ალალია

ინგლისი

ჩემპიონატი. III ტური

ვულვერჰემპტონი — პრესტონი 1:3; სტოკი — ბირმინგემი 0:0; კარდიფი — ქოვენთრი 1:0; კოლჩესტერი — ბარნსლი 1:2; ლესტერი — იფსვიჩი 3:1; ნორვიჩი — ლუთონი 3:2; ქუინზ პარკი — საუთენდი 2:0; უენსდი — ბარნლი 1:1; საუთჰემპტონი — ვესტ ბრომვიჩი 0:0; სანდერლენდი — პლიმუთი 2:3; ჰალი — დერბი 1:2; კრ. პალასი — ლიდსი 1:0

კრ. პალასი	3	3	0	0	6:2	9
ბარნლი	3	2	1	0	4:1	7
პლიმუთი	3	2	1	0	5:3	7
კარდიფი	3	2	1	0	4:2	7
ბირმინგემი	3	2	1	0	3:1	7
ნორვიჩი	3	2	0	1	5:3	6
ლუთონი	3	2	0	1	5:3	6
ბარნსლი	3	2	0	1	6:5	6
საუთჰემპტონი	3	1	2	0	4:2	5
ვესტ ბრომვიჩი	3	1	2	0	3:1	5
სტოკი	3	1	1	1	2:1	4
ქუინზ პარკი	3	1	1	1	4:4	4
ლიდსი	3	1	1	1	3:3	4
პრესტონი	3	1	1	1	3:3	4
დერბი	3	1	1	1	4:5	4
ვულვზი	3	1	1	1	3:4	4
ლესტერი	3	1	0	2	3:4	3
ქოვენთრი	3	1	0	2	2:4	3
საუთენდი	3	1	0	2	2:5	3
უენსდი	3	0	2	1	1:2	2
სანდერლენდი	3	0	0	3	3:6	0
კოლჩესტერი	3	0	0	3	2:5	0
ჰალი	3	0	0	3	3:7	0
იფსვიჩი	3	0	0	3	2:6	0

I ლიგა. III ტური

ბლეკპული — როტერჰემი 0:1; ბრედფორდი — ჯილინგემი 4:2; ბრაიტონი — ბრენტფორდი 2:2; ჩელტენჰემი — პორტ ვეილი 0:1; ჩესტერფილდი — მილუოლი 5:1; დონკასტერი — ტრანმერი 0:0; ჰადერსფილდი — ბრისტოლი 2:1; ლეიტონი — ბორნმუთი 3:2; ნორთჰემპტონი — ნოტინგემი 0:1; ოლდჰემი — სუონსი 1:0; სკანთორპი — ქრიუ 2:2; იოვილი — კარლაილი 2:1

II ლიგა. III ტური

აკრინგტონი — ბარნეტი 2:1; ბოსტონი — დარლინგტონი 4:1; როთერსი — გრიმსბი 1:0; ბერი — შრიუსბერი 1:2; ჰერეფორდი — ჩესტერი 2:0; მაკლსფილდი — დონსი 1:2; მენსფილდი — სტოკპორტი 1:1; ნოტსი — უიკომბი 1:0; სუინდონი — როჩდეილი 1:0; ტორკი — ლინკოლნი 1:2; უოლსოლი — ჰარტლპული 2:0; რექსემი — პიტერბრო 0:0

კონფერენსლიგა. I ტური

ალდერშოტი — გრეიესენდი 3:2; ალტრინჩემი — სტივენეიჯი 2:1; კემბრიჯი — ნორსვიჩი 0:1; ქროული — რაშდენი 1:0; ფორესტ გრინი — დაგენემი 0:1; გრეიესი — სტაფორდი 1:1; კიდერმინსტერი — სენტ ალბანსი 1:3; მორეკემბი — ბარტონი 0:1; ოქსფორდი — ჰალიფაქსი 2:0; სოთპორტი — უოქინგი 0:0; ტემუორთი — ვეიმუთი 1:3; იორკი — ექსეტერი 0:0

შვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური

გაის — ჰეკენი 2:2; ჰამარბი — იორგრიტე 0:1; კალმარი — აიკ 1:3; გეფლე — გიოტებორგი 1:0; ჰალმსტადი — იოსტერსი 1:0; მალმიო — ელფსბორგი 1:1; ჰელსინგბორგი — იურგორდენი 1:1

ჰამარბი	14	9	2	3	25:15	29
აიკ	14	8	4	2	26:14	28
ელფსბორგი	14	7	6	1	25:13	27
გიოტებორგი	14	7	4	3	22:13	25
იურგორდენი	14	6	6	2	18:12	24
მალმიო	14	6	4	4	22:18	22
გეფლე	14	5	3	6	14:21	18
კალმარი	14	5	2	7	18:17	17
გაის	14	4	5	5	15:19	17
ჰელსინგბორგი	14	3	6	5	18:20	15
ჰალმსტადი	14	3	5	6	9:15	14
ჰეკენი	14	2	5	7	14:22	11
იოსტერსი	14	2	3	9	9:25	9
იორგრიტე	14	1	5	8	12:23	8

სუპერეტა. XIX ტური

ვასბი — ფალკენბერგი 1:1; ლიუნგსკილე — უმეა 2:0; ბრომაპოიკარნა — მიალბი 4:1; იორებრო — სუნდსვალი 0:0; ქვიდინგი — იონკოპინგი 2:3. *ნორჩოპინგი — ლანდსკრონა და ტრელებორგი — ასირისკა დღეს გაიმართება*

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. III ტური

იაბლონეცი — სპარტა 0:0; ბანიკი — სიგმა 3:1; ზლინი — მოსტი 2:1; ბუდეიოვიცე — ბრნო 0:0; ბოლესლავი — პლზენი 0:0; ტეპლიცე — სლოვაცკო 3:2; სლავია — ლიბერეცი 0:2. *პრეიბრამი — კლადნო დღეს გაიმართება*

ლიბერეცი	3	3	0	0	6:0	9
ბოლესლავი	3	2	1	0	4:1	7
სლავია	3	2	0	1	5:4	6
იაბლონეცი	3	1	2	0	3:2	5
სპარტა	3	1	2	0	1:0	5
ბრნო	3	1	2	0	1:0	5
ტეპლიცე	3	1	1	1	5:5	4
ზლინი	3	1	0	2	3:4	3
სლოვაცკო	3	1	0	2	4:6	3
ბანიკი	3	1	0	2	3:5	3
პრეიბრამი	2	0	2	0	2:2	2
მოსტი	3	0	2	1	4:5	2
პლზენი	3	0	2	1	1:2	2
ბუდეიოვიცე	3	0	2	1	0:2	2
კლადნო	2	0	1	1	0:1	1
სიგმა	3	0	1	2	2:5	1

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. V ტური

ალტახი — შტურმი 4:1; აუსტრია — რაპიდი 0:0; პაშნგი — ზალცბურგი 1:1; მატერსბურგი — რიდი 0:0. *გრაცერი — ტიროლი გადაიდო*

ზალცბურგი	5	3	2	0	11:3	11
ტიროლი	4	3	1	0	6:3	10
მატერსბურგი	5	3	1	1	6:5	10
რაპიდი	5	2	1	2	7:5	7
პაშნგი	5	2	1	2	8:7	7
შტურმი	5	2	0	3	9:12	6
აუსტრია	5	0	4	1	2:4	4
გრაცერი	4	1	1	2	3:7	4
რიდი	5	1	1	3	1:5	4
ალტახი	5	1	0	4	8:10	3

I დივიზიონი. III ტური

ადმირა — შვანენშტადტი 1:5; აუსტრია (ვ) — ჰარტბერგი 0:1; ლუსტენაუ — კაპფენბერგი 5:4; გრაფკორნი — კერნტენი 3:0; ლინცერი — აუსტრია (ლ) 0:3; ლეობენი — პარნდორფი 2:0

დანია

სუპერლიგა. III ტური

მიდტიულანდი — ოლბორგი 1:0; ჰორსენსი — ესბიერგი 1:1; ნორდსიელანდი — ვაილე 1:0; რანდერსი — ბრონდბიუ 1:1; ვიბორგი — სილკებორგი 2:3; კოპენჰაგენი — ოდენსე 1:1

ნორდსიელანდი	5	4	0	1	13:5	12
ოლბორგი	5	4	0	1	11:3	12
მიდტიულანდი	5	3	2	0	9:4	11
ბრონდბიუ	5	3	2	0	9:4	11
კოპენჰაგენი	4	3	1	0	9:3	10
ესბიერგი	5	2	1	2	9:9	7
ოდენსე	5	1	3	1	6:6	6
რანდერსი	4	1	2	1	3:7	5
სილკებორგი	5	1	0	4	5:11	3
ჰორსენსი	5	0	2	3	3:8	2
ვიბორგი	5	0	1	4	6:12	1
ვაილე	5	0	0	5	4:15	0

I დივიზიონი. III ტური

ბრაბრანდი — არჰუსი 1:0; ფრემადი — აკადემისკი 3:1; იოლსტიკე — ორჰუსი 1:2; ტისტედი — ჰელერუპი 1:1; ფრედერისია — ჰერფიოლგე 2:1; კიოგე — კოლდინგი 1:2; ლიუნგბიუ — ფრემი 1:0; ნესტვედი — სიონდერისკე 2:0

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVI ტური

იარო — ჰონკა 2:5; ჰაკა — მარიეჰამნი 1:0; კუოპიო — ჰიკ 0:2; მიუპა — ლაჰტი 1:0; ტურკუ — ტამპერე 0:1; ვაასა — კტპ 2:1

ჰონკა	16	10	2	4	38:21	32
ტამპერე	15	10	2	3	22:12	32
ჰიკ	16	9	3	4	28:11	30
ჰაკა	15	9	3	3	21:10	30
ტურკუ	16	7	3	6	25:20	24
მარიეჰამნი	16	6	4	6	19:16	22
მიუპა	14	5	4	5	13:12	19
ვაასა	16	5	4	7	18:22	19
ლაჰტი	16	5	3	8	12:20	18
კტპ	15	5	2	8	15:30	17
იარო	15	3	4	8	18:24	13
ინტერი	13	3	3	7	9:22	12
კუოპიო	15	2	3	10	9:27	9

ჰოლანდია

სუპერთასი

აპვ ეინდჰოვენი 1:3 აიაქსი

0:1 როსალესი (7), 1:1 კოკუ (48), 1:2 პერესი (69), 1:3 სნეიდერი (81)

აპვ ეინდჰოვენი: მოესი, ლამეი, სიმონსი, ალექსი, სალსიდო, ბისატი (ნგუენი 82), ვაირინენი (ფეჰერი 70), კოკუ (ეადო 78), ა. კონე, ვენგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

აიაქსი: შტეკელენბურგი, სტამი, ოგარარუ (ჰეიტინგა 46), ემანუელსონი, ვერმაელენი, შილდერი (მადურო 46), გაბრი, სნეიდერი, როზენბერგი, რ. ბაბელი (კ. პერესი 69), მ. როსალესი

მწვრთნელი: ჰენკ ტენ კატი

გაფრთხილება: სიმონსი, კოკუ, მადურო

მსაჯი: ვეგერეეფი

52 000 მაყურებელი

II დივიზიონი. I ტური

აპელდორნი — კამბური 3:1; გრაადფსხაპი — იგლსი 0:1; დენ ბოსხი — ტელსტარი 2:0; დორდრეხტი — ალმერე 3:0; სიტარდი — ზვოლე 0:0; ჰაარლემი — ვოლენდამი 1:1; ჰელმონდი — მაასტრიხტი 1:1; როზენდალი — ოსი 3:1; ვეენდამი — ემენი 1:1; ვენლო — ეინდჰოვენი 1:1

დოორდრეხტი	1	1	0	0	3:0	3
აპელდორნი	1	1	0	0	3:1	3
როზენდალი	1	1	0	0	3:1	3
დენ ბოსხი	1	1	0	0	2:0	3
იგლსი	1	1	0	0	1:0	3
ემენი	1	0	1	0	1:1	1
ჰელმონდი	1	0	1	0	1:1	1
ეინდჰოვენი	1	0	1	0	1:1	1
ვეენდამი	1	0	1	0	1:1	1
ჰაარლემი	1	0	1	0	1:1	1
ვენლო	1	0	1	0	1:1	1
ვოლენდამი	1	0	1	0	1:1	1
მაასტრიხტი	1	0	1	0	1:1	1
სიტარდი	1	0	1	0	0:0	1
ზვოლე	1	0	1	0	0:0	1
გრაადფსხაპი	1	0	0	1	0:1	0
კამბური	1	0	0	1	1:3	0
ოსი	1	0	0	1	1:3	0
ტელსტარი	1	0	0	1	0:2	0
ალმერე	1	0	0	1	0:3	0

პოლონეთი

I ლიგა. III ტური

ვიძევი — ლკს 2:1; ლეჩნა — გურნიკი 0:2; ლეგია — ბელხატოვი 1:2; ოდრა — გროცლინი 0:0; პოგონი — არკა 0:0; ზაგლებე — კრაკოვია 4:3; კორონა — ლეხი 2:2; ვისლა — პლოცკი 2:0

ბელხატოვი	3	3	0	0	6:2	9
ვისლა	3	2	1	0	3:0	7
ვიძევი	3	2	0	1	4:3	6
კორონა	3	1	2	0	5:2	5
ლეხი	3	1	2	0	5:4	5
ლკს	3	1	1	1	5:2	4
ლეგია	3	1	1	1	5:4	4
ზაგლებე	3	1	1	1	4:4	4
ოდრა	3	1	1	1	1:1	4
პოგონი	3	1	1	1	3:4	4
კრაკოვია	3	1	0	2	5:7	3
გურნიკი	3	1	0	2	2:4	3
გროცლინი	3	0	2	1	2:3	2
არკა	3	0	2	1	0:3	2
პლოცკი	3	0	1	2	2:5	1
ლეჩნა	3	0	1	2	1:5	1

შვეიცარია

სუპერლიგა. V ტური

შაფჰაუზენი — აარაუ 0:1; სენტ გალენი — ციურიხი 3:1; ბაზელი — თუნი 4:1; გრასჰოპერი — ლუცერნი 2:0; იანგ ბოისი — სიონი 2:1

ციურიხი	5	4	0	1	12:4	12
გრასჰოპერი	5	3	2	0	9:3	11
სიონი	5	3	1	1	11:5	10
იანგ ბოისი	5	2	2	1	7:7	8
სენტ გალენი	5	2	2	1	7:8	8
ბაზელი	5	2	1	2	12:8	7
თუნი	5	1	2	2	4:9	5
აარაუ	5	1	1	3	4:9	4
ლუცერნი	5	1	0	4	6:12	3
შაფჰაუზენი	5	0	1	4	1:8	1

ჩემპიონატი. IV ტური

კონკორდია — ბელინცონა 0:0; ვინტერთური — შო დე ფონი 1:0; ვოლენი — სერვეტი 1:5; ივერდონი — ბოლმი 1:1; კიასო — დელემონი 2:1; კრენსი — ლუგანო 1:0; ლოზანა — ვილი 2:1; ლოკარნო — იუვენტუსი 0:0. *ქსამაქსი — ვადუცი გადაიდო*

ნორვეგია

ტიპელიგა. XVII ტური

ლილესტრომი — ფრედრიკსტადი 1:1; ჰამ კამი — ტრომსიო 2:3; სანდეფიორდი — ოდ გრენლანდი 1:3; სტაბეკი — ლინი 3:2; სტარტი — ვიკინგი 3:1; ვოლერენგა — ბრანი 2:1; მიოლდე — რუსენბორგი 0:2

ბრანი	17	9	4	4	25:17	31
რუსენბორგი	17	8	6	3	27:18	30
ლილესტრომი	16	8	5	3	27:19	29
სტაბეკი	17	7	7	3	27:19	28
ოდ გრენლანდი	17	6	7	4	24:19	25
სტარტი	17	6	6	5	18:19	24
ვოლერენგა	17	6	4	7	23:22	22
სანდეფიორდი	17	6	4	7	24:29	22
ლინი	16	6	3	7	18:20	21
ჰამ კამი	17	5	4	8	26:25	19
ფრედრიკსტადი	17	4	6	7	22:30	18
ტრომსიო	17	4	5	8	19:25	17
ვიკინგი	17	4	5	8	15:22	17
მიოლდე	17	5	2	10	17:28	17

I დივიზიონი. XVIII ტური

ფოლო — სტიომსგოდსეტი 0:4; ჰიოდი — ბოდიო გლიმტი 2:3; ჰიონეფოსი — ბრინი 4:1; ლოვ ჰამი — კონგსვინგერი 1:1; მოსი — ტრიომსდალენი 6:2; ოსლო იოსტი — ჰაუგესუნდი 2:1; სოგნდალი — ალესუნდი 2:2; სპარტა — ჰორს გრენლანდი 1:2

სლოვენია

I ლიგა

III ტური

პრიმორიე — ჰტუი 1:0; ნაფტა — ფაქტორი 2:2; კოპერი — ბელა კრაინა 2:2; მარიბორი — პუბლიკუმი 2:0; დომჟალე — ნოვა გორიცა 1:0

აშშ

MLS. XXII ტური

ჩიკაგო — ვაშინგტონი 1:2; ჰიუსტონი — დალასი 1:0; კანზასი — კოლუმბუსი 4:0; კოლორადო — ლოს ანჯელესი 1:0

ირლანდია

პრემიერდივიზიონი

XX ტური

ბრეი — ბოჰემიანსი 0:3; შელბურნი — კორკი 2:2; ლონგფორდი — დუბლინი 0:0; დროჰედა — სლიგო 2:2; დერი — სენტ პატრიკსი 3:1

ისლანდია

პრემიერდივიზიონი

XIII ტური

რეიკიავიკი — კეფლავიკი 2:2; აკრანესი — ვალიური 1:1; გრინდავიკი — ბრეიდაბლიკი 4:2; ჰაფნარფიორდური — ფილკირი 2:2; ვიკინგური — ვესტმანაეიარი 5:0

თურქეთი

სუპერლიგა. III ტური

ბეშიქთაში — გენჩლერბირლიგი 2:1; ლერი — ფენერბაჰჩე 0:2; ტრაბზონი — მანისა 1:1; ანკარაგიუჯიუ — ანკარა 1:1; დენიზლი — ქონია 0:1; ერჟიესი — ბურსა 2:1; რიზე — სივა 1:1; საქარია — ანთალია 0:0; გალათასარაი — ქაისერი 4:0

ფენერბაჰჩე	2	2	0	0	8:0	6
გალათასარაი	2	1	1	0	5:1	4
ქონია	2	1	1	0	2:1	4
მანისა	2	1	1	0	2:1	4
ბეშიქთაში	2	1	0	1	2:2	3
გენჩლერი	2	1	0	1	2:3	3
ქაისერი	2	1	0	1	1:4	3
ერჟიესი	2	1	0	1	2:7	3
ანკარა	2	0	2	0	2:2	2
ანკარაგიუჯიუ	2	0	2	0	1:1	2
საქარია	2	0	2	0	1:1	2
რიზე	2	0	2	0	1:1	2
ანთალია	2	0	2	0	0:0	2
გაზიანთეფი	2	0	1	1	2:3	1
სივა	2	0	1	1	2:3	1
ბურსა	2	0	1	1	1:2	1
დენიზლი	2	0	1	1	1:2	1
ტრაბზონი	2	0	1	1	1:2	1

სლოვაკეთი

I ლიგა. V ტური

დუბნიცა — კოშიცე 0:3; სლოვანი — ნიტრა 1:0; ტრნავა — ინტერი 1:0; ჟილინა — ტრენჩინი 4:1; ბანსკა ბისტრიცა — არტმედია 2:0; რუჟომბეროკი — სენეცი 2:0

ხორვატია

ნაციონალლიგა

III ტური

ციბალია — ვარტექსი 1:2; მედიმურიე — ოსიეკი 2:0; ზაგრები — რიეკა 1:0; პულა — დინამო 0:2; შიბენიკი — სლავენი 2:1; კამენი — ჰაიდუკი 2:3

სერბეთი

პრვა ლიგა

II ტური

ბუდუჩნოსტი — ბეჰანია 0:2; მლადოსტი — ზემუნი 2:0; ვოივოდინა — ბორაცი 0:2; ოფკ — ჰაიდუკი 5:1; ვოზდოვაცი — პარტიზანი 1:3; ცრვენა ზვეზდა — სარტიდი 1:0

იაპონია

ჯეი ლიგა

XVII ტური

ჰიროშიმა — შიმიცუ 1:2; ნიიგატა — იჩიჰარა 1:2; სერეზო — ომია 0:1; ნაგოია — კოფუ 5:1; ფუკუოკა — ოიტა 0:2; ივატა — კაშიმა 3:3; კავაზაკი — იოკოჰამა 1:1; კიოტო — გამბა 1:4; ურავა — ტოკიო 4:0

ამხანაგური მატჩები

II აგვისტო

გრონინგენი (ჰოლანდია) 2:2 ასტონ ვილა (ინგლისი)

უტრეხტი (ჰოლანდია) 2:2 ჩარლტონი (ინგლისი)

ვალვაიკი (ჰოლანდია) 1:1 სარაგოსა (ესპანეთი)

დეპორტივო (ესპანეთი) 3:0 ნასიონალი (ურუგვაი)

12 აგვისტო

ბოლტონი (ინგლისი) 1:3 ალკმაარი (ჰოლანდია)

უიგანი (ინგლისი) 1:1 ვიტესი (ჰოლანდია)

ტოტენჰემი (ინგლისი) 2:1 სოსიედადი (ესპანეთი)

მიდლსბრო (ინგლისი) 0:0 კიევო (იტალია)

რედინგი (ინგლისი) 2:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია)

მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 3:0 სევილია (ესპანეთი)

ვესტ ჰემი (ინგლისი) 1:1 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

ტორინო (იტალია) 1:2 კუნეო (იტალია)

ფულემი (ინგლისი) 1:1 ბოავიშტა (პორტუგალია)

ევერტონი (ინგლისი) 0:1 ბილბაო (ესპანეთი)

მანჩესტერ სიტი (ინგლისი) 0:1 პორტუ (პორტუგალია)

ოფი (საბერძნეთი) 0:1 ჰერენვეენი (ჰოლანდია)

სელტა (ესპანეთი) 1:2 ბრაგა (პორტუგალია)

პენიაროლი (ურუგვაი) 4:3 ლივორნო (იტალია)

ვალენსია (ესპანეთი) 2:0 რომა (იტალია)

ატლეტიკო (ესპანეთი) 0:1 მილანი (იტალია)

სოლტ ლეიკი (აშშ) 0:2 რეალი (ესპანეთი)

ნიუ იორკი (აშშ) 1:4 ბარსელონა (ესპანეთი)

13 აგვისტო

უოტფორდი (ინგლისი) 2:1 კიევო (იტალია)

როდა (ჰოლანდია) 1:1 სარაგოსა (ესპანეთი)

სარგებელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		19 აგვისტო						
15:45	1	შეფილდი-ლივერპული	6.00	3.60	1.55	2.25	1.23	1.08
20:00	2	არსენალი-ასტონ ვილა	1.25	4.70	12.00	1.00	1.13	3.37
20:00	3	ბოლტონი-ტოტენჰემი	2.65	3.10	2.55	1.42	1.29	1.39
20:00	4	ევერტონი-უოტფორდი	1.65	3.40	5.30	1.11	1.25	2.07
20:00	6	ნიუკასლი-უიგანი	1.65	3.40	5.10	1.11	1.24	2.03
20:00	7	პორტსმუთი-ბლეკბერნი	2.35	3.20	2.85	1.35	1.28	1.50
20:00	8	რედინგი-მიდლსბრო	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
20:00	9	ვესტ ჰემი-ჩარლტონი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
		20 აგვისტო						
20:00	5	მანჩესტერი-ფულემი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
19:00	10	ჩელსი-სიტი	1.20	5.60	13.00	1.00	1.09	3.91
		ინგლისი. კონფერენსი						
		15 აგვისტო						
22:45	47	ბარტონი-კიდერმინსტერი	1.90	3.40	3.30	1.21	1.20	1.67
22:45	48	დაგ ენდ რედი-ოქსფორდი	2.50	3.40	2.35	1.44	1.21	1.38
22:45	49	ექსეტერი-ფორესტ გრინი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
22:45	50	გრეივსენდი-ტემეორთი	1.90	3.40	3.30	1.21	1.20	1.67
22:45	51	ჰალიფაქსი-საუთპორტი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
22:45	52	ნორთვიჩი-მორეკომბი	2.35	3.40	2.50	1.38	1.21	1.44
22:45	53	რაშდენი-გრეისი	2.30	3.30	2.60	1.35	1.22	1.45
22:45	54	სტ.ალბანსი-კემბრიჯი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
22:45	55	სტ რეინჯერსი-ალტრინჰემი	2.10	3.30	2.90	1.28	1.21	1.54
22:45	56	სტივენეიჯი-იორკი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
22:45	57	ვეიმუტი-ალდერშოტი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		14 აგვისტო						
22:15	101	აუსბურგი-კიოლნი	2.80	3.30	2.20	1.51	1.23	1.32
		20 აგვისტო						
16:00	105	კობლენცი-ფიურტი	1.00					
16:00	106	კიოლნი-ბურგჰაუსენი	1.00					
16:00	107	პადერბორნი-აუსბურგი	1.00					
16:00	108	ესენი-ფრაიბურგი	1.00					
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		18 აგვისტო						
21:00	120	პირმანესი-ინგოლშტადი	1.00					
21:00	121	კეერსი-შტუტგარტი(მ)	1.00					
21:00	122	ზიგენი-ფულენდორფი	1.00					
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		14 აგვისტო						
22:30	163	ამიენი-კაენი	2.70	2.70	2.55	1.35	1.31	1.31
		ჩეხეთი						
		14 აგვისტო						
19:15	245	პრეიბრამი-კლადნო	1.90	3.10	3.90	1.17	1.27	1.72
		შვედეთი						
		სუპერეტა						
		14 აგვისტო						
21:00	294	ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
21:00	295	ტრელებორგი-ასირიასკა	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
		15 აგვისტო						
21:00	296	ატვიდაბერგი-დეგერფორსი	2.35	3.40	2.60	1.38	1.23	1.47

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
	მოსკოვის გამზირი №6
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	თამარ მეფის №1
წნორი	სტალინის ქუჩა №1
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ხუთი დღე მსოფლიოს ჩემპიონატამდე

ენტონის ტონი: მე ვარ ბატონი

კარმელო ენტონი ამერიკელთა ყოჩია

ბრაზილიასთან შეხვედრას ცივი შხაპის ეფექტი ჰქონდა ამერიკელებისთვის. საფეხბურთო ქვეყნის საკალათბურთო ნაკრებთან 4-ქულიან გამარჯვებას აქტივში ვერ ჩაითვლიან კალათბურთის მშობელ-მაყურებლები.

ჰოდა, ჩინური გუანჯოუდან კორეულ სეულში გადაფრენილმა ამერიკელებმა ბოლოსწინა საკონტროლო შეხვედრაში ყოჩაღ ლიტველთა დამაჯერებელი ძლევით დაიბრუნეს რიხი და თავდაჯერება — 14 ქულით მოუგეს, თუმც თავისუფლად შეეძლოთ, მატჩი ორმაგად მეტი სხვაობით ჩაემთავრებინათ.

ამერიკელებს მოუკეთდათ ამ საგამოფენო მატჩებში ნაკრების მთავარ მექულედ დამკვიდრებული კარმელო ენტონი, რომელმაც ბრაზილიასთან მუხლი ოდნავ დაიშავა, თუმც პირველ ნახევარშიც მოასწრო 16 ქულის მოხვეჭა. ენტონი ახლაც ყველა თავისიანზე შედეგიანი იყო, ლიტველებს 19 ქულა ჩაუკალათა. მისი დაუდეგრობის წყალობით ამერიკელებმა თავიდანვე შეუტიეს ლიტველებს და პირველივე მეოთხედში 29:11 გაექცნენ, შემდეგ 84:55 დაწინაურდნენ და ბოლო ათწუთეულში 31 ქულითაც გაიჭრნენ წინ. საქმე გაკეთებული იყო, მეტოქე გატეხილ-დამარცხებული და ნბა-ელთა თავკაცმა მაიკ კრჟიჟევსკიმ სადავეების მოშვება ბრძანა. ლიტველებმაც ამოისუნთქეს და ამოიწიეს, საბოლოოდ კი მატჩი 104:90 დასრულდა. ამერიკელები ხვალ სეულში მასპინძელ სამხრეთ კორეას შეეთამაშებიან და ამით დაამთავრებენ სპარინგ-სერიას. კრჟიჟევსკი ჯერაც 14 კაცით ათამაშებს გუნდს და არ უთქვამს, რომელ ორს დაითხოვს ნაკრებიდან.

კოტე ყორშია

შფოთვის ინტონაცია იგრძნობა ოლიმპიურ ჩემპიონ არგენტინის ნაკრების თავკაცის სიტყვებში. სერხიო ერნანდესი ჩივის, ცოტა ფიზიკურ მომზადებაში მოვიკოჭლებთ და თუ რამეში გვმართებს გაძლიერება, სწორედ ამ კომპონენტშიო.

„მადრიდში ესპანეთან რომ წავაგეთ, ეს სულაც არ იყო დიდი მოულოდნელობა. ესპანეთი საკმაოდ ძლიერი მეტოქეა, ბოლო წლებში სულ საპატიო ეტაპებზე ამთავრებს დიდ ტურნირებს. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ ოლიმპიურ ჩემპიონები ვართ და ჩვენს წინააღმდეგ ყველა ერთიორად მეტს ინდომებს“ — ამბობს ფერნანდესი — იცით, ჩვენ ცოტა დაცვაში ვზარმაცობთ, აღარ გვაქვს ის საჭირო აგრესია, რომელიც ნებისმიერ შეტევას შეაჩერებს“.

არგენტინელებმა მადრიდის ოთხთა ტურნირში ესპანეთთან მარცხის შემდეგ მეორე ადგილი დაიჭირეს. ახლა სამხრეთამერიკელები სინგაპურში არიან და იქაც შეესპარინგებიან პაუ გასოლით გაძლიერებულ ესპანელებს, ამასთან სლოვენიელებთან და იმ სერბებთანაც მოსინჯავენ ძალებს, რომლებთანაც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი უდრამატულეს ბრძოლაში დათმეს.

„სამწუხაროდ, არანაირი გარანტია არ გვაქვს, რომ იაპონიაში გამოვასწორებთ დაცვაში თამაშს — კვლავ ჭმუნავს ერნანდესი — ჩვენ არ გვაქვს შეთამაშების პრობლემა, გუნდის ძირითადი ბირთვის კალათბურთელები წლების განმავლობაში ერთად თამაშობენ და ერთმანეთს საკუთარ თავზე უკეთაც იცნობენ, მაგრამ ეს რომ საკმარისი იყოს წარმატების გასამეორებლად, ჩემპიონები შემადგენლობებს არასდროს გამოცვლიდნენ და მუდმივი ჩემპიონებიც იქნებოდნენ.“

კოტე ყორშია

ბრედშოუს შოუ

ამხანაგური მატჩების სერიას ამთავრებენ ახალზელანდიელებიც. გავიხსენოთ, ეს ის გუნდია, რომელმაც 4 წლის წინ ინდიანაპოლისის მუნდიალზე მეოთხე ადგილი დაიკავა, მასპინძელ ამერიკელებს კი სამარცხვინო მეექვსე ადგილი შეხვდათ.

ახალი ზელანდიის ნაკრები, რაგბის ხათრით „თოლ ბლექსად“ წოდებული გუნდი ახლა შინ, სამხრეთის კუნძულზეა და იქაურ მომცრო ქალაქებში დანიდინსა და ინვერკარგილში ორ უკანასკნელ ამხანაგურ მატჩს მართავს ყატარის ნაკრებთან, რომელიც ასევე იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ ემზადება. დანადინში ერთი მატჩი უკვე გაიმართა და მასპინძელთა 17-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა. ახალზელანდიელებს ერთი ლიდერთაგანი და ინდიანაპოლისის გმირთაგანი მარკ დაკელი აკლდათ, რაკიღა ეს მსუბუქი ნარკოტიკის ხმარებაზე ჩავარდნილა და გუნდსავე დაუსჯია ორი მატჩის უთამაშებლობით. „მაორებს“ ძირითადი გამთამაშებლის არყოლა ოდნავადაც არ დასტყობიათ, თავიდანვე 21:11 დაწინაურდნენ, მაგრამ მალევე თითქმის სრულად გაანიავეს უპირატესობა, თუმც მეორე მეოთხედიდან არავინ დაუეჭვებიათ თავიანთ გამარჯვებაში. ძველ გვარდიელებთან — პერო კემერონთან და კირკ პენისთან ერთად იყოჩაღა შედარებით ახალგაზრდა კრეიგ ბრედშოუმ, ვინაც ყატარელებს 19 ქულა უმარჯვა, 12 ბურთი მოუხსნა და სამ-სამჯერ ჩაუჭრ-დაუფარა.

ისე, მთლად უკმაყოფილები არც დამარცხებულები ჩანდნენ. მათი მწვრთნელი ამბობდა, რაც ამ გუნდში ვმუშაობ, პირველ ტაიმში ამდენი ქულა არასდროს მიგვიღია, მაგრამ ეს სპარინგია და ბიჭებით მაინც კმაყოფილი ვარო. „ერთადერთი, რასაც ჩემი გუნდისგან მოვითხოვ, ბრძოლაა — ამბობდა ჯო სტეინი — 30 ქულითაც რომ ვაგებდეთ, მაინც ბოლომდე უნდა ვებრძოლოთ. ჩვენ არავინ გვთვლის ფავორიტებად, ასე რომ, თუ დამარცხებაა, ღირსეულად უნდა დავმარცხდეთ“.

კოტე ყორშია

კრეიგ ბრედშოუ „თოლ ბლეჭსის“ ახალი ლიდერია

პიპანის პიარი: სლოვენია ერთი გუნდია

არგენტინელთა თავკაცისგან განსხვავებით, ოპტიმიზმი ღვივის სლოვენიელთა მთავარ მწვრთნელ ალეს პიპანის ნაუბარში. სლოვენიელები პირველად არიან მსოფლიოს ჩემპიონატზე და მიუხედავად იმისა, რომ ურთულესი ჯგუფი გამოუწერა კენჭისყრამ, მაინც იმედით ელიან მუნდიალს.

„მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჩვენ დიდი და დიდებული გზა გავიარეთ — ამბობს პიპანი — კარგი სპარინგები გვქონდა, რომელთა უმრავლესობა მოვიგეთ, მიუხედავად იმისა, რომ შედეგზე მეტად ყურადღებას ბიჭების ერთ გუნდად ჩამოყალიბებასა და კომბინაციების დამუშავებას ვაქცევდით. იაპონიაში, თავისთავად ცხადია, ჩვენ პირველ რიგში შედეგზე ვიმუშავებთ და ამ მხრივ გაგვიმართლა კიდეც, რაკი პირველი შეხვედრა შედარებით სუსტ სენეგალთან გვიწევს“.

ალეს პიპანი

იაპონიაში სლოვენიელებს სენეგალელთა გარდა ჯგუფში საქმე ექნებათ ამერიკელებთან, იტალიელებთან, ჩინელებსა და პუერტორიკოელებთან. ჯერჯერობით კი ისინი სინგაპურში არიან და სერბებთან, ესპანელებსა და არგენტინელებთან ერთად ოთხთა ტურნირში სათამაშოდ ემზადებიან. სინგაპურამდე მათ მრავალი ამხანაგური შეხვედრა გამართეს და მხოლოდ თურქეთთან დამარცხდნენ. მათგან ძლეულთა გრძელ სიაში კი შედიან პოლონეთი, ყატარი, ვენესუელა, კანადა, ლიბანი და სხვანი.

კოტე ყორშია

როგორც ზღვაში ქვიშა

ფედერერის რეპორდებს თვლა აღარა აქვს



რიშარ გასკე

AFP ფოტოსტუდიიდან

მასტერსი
ტორონტო. კანადა. ჰარდი
საპრიზო 2 450 000 $

მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 7:6 6:7 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (15, ჩილე) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:1 7:5; **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — იარკო ნიემინენი (14, ფინეთი) 6:4 6:7 6:3; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — ტომაშ ბერდიხი (13, ჩეხეთი) 6:4 6:1

ნახევარფინალი

ფედერერი — გონსალესი 6:1 5:7 6:3; **გასკე** — მიურეი 6:2 7:5

ქალები
ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

მეოთხედფინალი

მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — დინარა საფინა (5, რუსეთი) 6:2 6:4; **ელენა დემენტიევა** (3, რუსეთი) — ბეტანი მატეკი (აშშ) 4:6 6:1 6:1; **ელენა იანკოვიჩი** (16, სერბეთი) — ანა ივანოვიჩი (10, სერბეთი) 6:4 7:6; **სერენა უილიამსი** (აშშ) — მეგან შონესი (აშშ) 6:7 6:1 6:4

ნახევარფინალი

დემენტიევა —შარაპოვა 7:5 6:2; **იანკოვიჩი** — უილიამსი 6:4 6:3

ქალები
სტოკჰოლმი. შვედეთი. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

ნახევარფინალი

ანასტასია მისკინა (1, რუსეთი) — სოფია არვიდსონი (4, შვედეთი) 6:2 6:4; **ში შენგი** (3, ჩინეთი) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 6:2 7:6

როჯერ ფედერერი ზედიზედ მე-17 ფინალს ითამაშებს. საერთოდ, ეს ფანტასტიკური შედეგია, მაგრამ შვეიცარიელისგან ასეთებს უკვე მივეჩვიეთ და მაინდამაინც აღარავის უკვირს. უბრალოდ, ეს „მხიარული როჯერის“ გენიალობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

ფინალამდე ბოლოს ფედერერმა შარშან ივნისში, „როლან გაროსზე“ ვერ მიაღწია, როცა ნახევარფინალში თავის ნემეზიდა რაფაელ ნადალთან წააგო. იმის შემდეგ კი ყველგან ფინალში ითამაშა და უკვე 17-იც დაუგროვდა.

ისე, ტორონტოში შვეიცარიელი ძალიან გააწამეს. მესამე წრიდან მოყოლებული, ფედერერი რეგულარულად აგებდა ერთ სეტს, რაც მისთვის საკმაოდ უჩვეულოა. შვეიცარიელს გუშინ ფერნანდო გონსალესიც კარგად ეომა. არადა, ასეთ რამეს არავინ მოელოდა, რადგანაც პირველი სეტი ალპელმა ისე მოიგო, ჩილელმა წესივრად იმის გააზრებაც ვერ მოასწრო, სად იმყოფებოდა. თუმც მეორე სეტში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და ბოლოსკენ სამხრეთამერიკელი უფრო აკურატული გამოდგა.

გადამწყვეტ პარტიაში კი ჩილელს არც გამძლეობა ეყო და არც კლასი ფედერერთან ტოლ-სწორად სამომრად და შვეიცარიელიც წლეულს უკვე მეათე ფინალში ითამაშებს.

ალპელს ორშაბათს გამთენიისას ამ ბოლო დროს მშვენივრად ათამაშებული რიშარ გასკე შეხვდება. ახალგაზრდა ფრანგმა ძალიან მოუმატა და კანადაში მშვენივრადაც ჩოვნობს.

ფინალში გასასვლელად ფრანგს თავისნაირი ახალგაზდები გაამწარა დაეძლია — ჯერ ნადალის გამგდები ტომაშ ბერდიხი დაიფრინა, მერე კი ენდი მიურეიც ზედ მიაყოლა. ისიც აღსანიშნავია, რომ გასკე ფინალს გაცილებით დასვენებული ხვდება, რადგანაც არც ერთ შეხვედრაში არ დასჭირვებია სამი სეტის თამაში. თუმც ფედერერის დარი უცხოპლანეტელი ამას აინუნშიც არ ჩააგდებს.

ლოს ანჯელესში კი ელენათა ფინალი გაიმართება — აქ დემენტიევას მოხვედრა თუ მცირე მოულოდნელობაა, იანკოვიჩის გადამწყვეტ მატჩამდე მისვლას ხმაურიანი სენსაცია შეიძლება დაერქვას. მით უმეტეს, რომ სერბმა ნახევარფინალში სერენა უილიამსს მოუგო.

შავი ამერიკელს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ლამის ერთწლიანი გვალვის შემდეგ პირველად მოახერხებდა ფინალამდე მისვლას, მაგრამ იანკოვიჩმა სერენას ეს იმედები 80 წუთში გაუნადგურა და ძალიან დამაჯერებლად დააშამათა.

დემენტიევამ კი პირწმინდად დაჯაბნა მარია შარაპოვა. ამაში დიდად გასაოცარი არაფერია, რადგანაც სათამაშო მრავლაფეროვნებით ლენა თუ არ აღემატება, მინიმუმ არაფრით ჩამოუვარდება მაშას, მაგრამ იმას მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დემენტიევა თავის მეტოქეს მოწოდებაზე თამაშში აჯობებდა — მოგეხსნებათ, ამ კომპონენტში ლენას უნიჭო თამაში ყველას ჩუმი ქირქილის საგანია. მაგრამ გუშინ დემენტიევა მშვენივრად ითამაშა საკუთარ მოწოდებაზე, ხოლო როცა ეს ხდება ხოლმე, იშვიათად მას ვინმემ მოუგოს.

გუშინაც ასე იყო. შარაპოვა კი ნამეტანი ინერტული გახლდათ და ამას თავისი მიზეზიც ჰქონია:

„13 დღეში 9 მატჩი ჩავატარე. ძალიან დავიღალე. მოძრაობის თავიც კი არ მქონდა და ამის გამო თამაში საერთოდ არ წამივიდა“ — ამაზე წუწუნებდა ნამატჩევს შარაპოვა. ამდენად საჭირო დასვენებისთვის კი მაშამ მონრეალში ჩასვლაზე ხელი აიღო და მომავალ კვირასაც უქმობაში გაატარებს.

ძახა ლომაშვილი

ელენა იანკოვიჩი

AFP ლოს ანჯელესიდან

ბასკეთში ფლორენ-სიომ დაუბერა

უცნობი ესპანელის ხავიერ ფლორენსიოს გამარჯვებით დასრულდა სან სებასტიანის კლასიკური ერთდღიანი რბოლა. 225 კილომეტრიანი CLASICA SAN SEBASTIAN-ის მონაწილეთა შორის ველოელიტის მრავალი წარმომადგენელი იყო და ფლორენსიოს გამარჯვებას ჯრავინ ელოდა, მით უმეტეს, რომ ფრანგული „ბუე ტელეკომის“ ამ 26 წლის მრბოლს აქამდე ერთადერთი რბოლა ჰქონდა მოგებული და ისიც 2002 წელს.

ბასკური პუბლიკა მოუთმენლად ელოდა თავისი კერპის, ალეხანდრო ვალვერდეს დაბრუნებას — „ტურ დე ფრანსის“ ერთ-ერთ საწყის ეტაპზე მიღებული ტრავმის შემდეგ ვალვერდე, სწორედ შაბათს დაუბრუნდა რბოლას. ალეხანდრომ არ გააწბილა ქომაგები, საკმაოდ კარგად იასპარეზა და შაბათის რბოლას ღრმა კვალიც დაამჩნია. თუმცა, სანამ ვალვერდე მოექცეოდა ყურადღების ცენტრში, მანამდე სამი სახელიანი კაცი გაექცა პელეტონს — ესპანელები იბან მაიო, კარლოს სასტრე და რუსი დენის მენშოვი. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ გამარჯვებულის ვინაობა ამ სამის დავაში უნდა გარკვეულიყო, მაგრამ ვალვერდემ ასე არ ინდომა, ველოქარავანს სათავეში ჩაუდგა და, სწორედ მისი სუპერაქტიურობის წყალობით, ფინიშის სიახლოვეს პელეტონმა გაქცეულები ჩაყლაპა.

საფინიშო სპურტის ძალა კი ვალვერდეს აღარ ეყო და საბოლოო ჯამში მერვე ადგილზე გავიდა იმავე მაიოზე, სასტრესა და მენშოვზე წინ. 50-კაციან მოწინავე ჯგუფში ყველას ფლორენსიომ აჯობა. სან სებასტიანის ქუჩებში კი, სწორედ ამ ესპანელმა განაკითარა ყველაზე მეტი სიჩქარე და ფინიშზე სულ მცირედით მიასწრო იტალიელ სტეფანო გარძელისა და ყაზახ ანდრეი კაშეჩკინს.

ვალვერდე კვლავაც პირველია

ლენდისი პრო-ტურის რეიტინგიდან ამოაგდეს

სან სებასტიანის კლასიკური რბოლის დასრულებისთანავე ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა უძლიერეს პროფესიონალ მრბოლთა ახალი რეიტინგი, რომელსაც სათავეში კვლავაც ალეხანდრო ვალვერდე უდგას. „ტურ დე ფრანსზე“ მიღებული ტრავმის შემდეგ ვალვერდე, სწორედ სან სებასტიანში დაუბრუნდა რბოლას და მერვე ადგილზე გასვლით თავისი წლიური მონაგარი 200 ქულამდე გაზარდა. „პრო ტურის“ კლასიფიკაციაში ვეღარ ვხედავთ ფლოიდ ლენდისს — ამერიკელი „ტურზე“ მომხდარი დოპინგ-სკანდალის გამო რეიტინგიდან გამოიყვანეს და შედეგად, ამ წუთისთვის კლასიფიკაციის მეორე ადგილი თავისუფალია, ხოლო მესამეზე ლუქსემბურგელი ფრანკ შლეკი იმყოფება.

ჯერჯერობით, მხოლოდ 21-ე ადგილზეა ესპანელი ოსკარ პერეირო სიო, მაგრამ ამ უკანასკნელს მალე, ლენდისის ოფიციალური დისკვალიფიკაციის შემდეგ „ტურის“ ჩემპიონად გამოაცხადებენ და პერეირო სიო კლასიფიკაციაშიც გვარიან ნახტომს გააკეთებს.

ალეხანდრო ვალვერდე

მრბოლები: 1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) — 200 ქულა; 3. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) — 150; 4. ტომ ბოონენი (ბელგია) — 145; 5. ივან ბასო (იტალია, CSC) — 138; 6. კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო) — 120; 7. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) — 118; 8. ლევი ლეიფემერი (აშშ, გეროლშტაინერი) — 114; 9. იორგ იაკშე (გერმანია, ასტანა) — 110; 10. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე) — 110.

გუნდები: 1. CSC (დანია) — 277; 2. ილეს ბალეარსი (ესპანეთი) — 267; 3. რაბობანკი (ჰოლანდია) — 250; 4. T-მობაილი (გერმანია) — 247; 5. დისქავერი (აშშ) — 247.

ქვეყნები: 1. ესპანეთი — 546; 2. იტალია — 534; 3. გერმანია — 402; 4. აშშ — 400; 5. ბელგია — 252

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
მეცხრე ეტაპი. გერმანია. 351,5 კმ

სებასტიენ ლოებმა 26-ე დიდი პრიზი მოიგო

სები დონ კარლოსს დაეწია

ცხრაკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა მერალეთა 28-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. გერმანული ეტაპით დაიწყო ათთვიანი მარათონული სეზონის მეორე ნახევარი.

ქალაქ ტრირის შემოგარენში ასფალტიან გზებზე რბოლა 2002 წლიდან ტარდება. ოთხივე გაჯიბრება ფრანგმა მძღოლმა სებასტიენ ლოებმა და მისმა მონაკოელმა შტურმანმა დანიელ ელენამ მოიგეს. მათი „სიტროენი“ ამჯერადაც უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა და უკვე პირველივე დღეს ხუთ ჩქაროსნულ უბანზე გამარჯვებით უზარმაზარი, 42-წამიანი სხვაობით ჩამოიტოვა ესპანელ თანაგუნდელ დანიელ სორდოს ეკიპაჟი.

ვითარება არც შაბათ-კვირას შეცვლილა — 32 წლის ლოებმა წლეულს უკვე მეექვსე დიდი პრიზი მოიგო და ექვსსეზონიან კარიერაში 26 დაუგროვდა, რითაც ლეგენდურული ესპანელის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ კარლოს საინსის მიღწევა გაიმეორა.

მიმდინარე სეზონის „აღმოჩენამ“, ახალგაზრდა მერალეთა (28 წლამდე) შორის მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა სორდომ უპრობლემოდ შეინარჩუნა მეორე პოზიცია და უფრო განიმტკიცა საერთო ჩათვლაში საბრინჯაო პოზიცია. ვიცეჩემპიონობას კი, ეტყობა, ორგზის გვირგვინოსანი გრონჰოლმი გამოჭკრავს ხელს, რომელიც, მართალია გერმანიაში თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ არის და ლოებსაც არ გაუჭირდება ზედიზედ მესამე ტიტულის მოპოვება.

უკვე მერამდენედ ჩაფლავდა ნორვეგიელი ექსჩემპიონი პეტერ სოლბერგი. ამჯერადაც „ჰოლივუდ“ პეტერი „სუბარუს“ მექანიკური პრობლემების მიზეზით გამოეთიშა ბრძოლას, არადა, პირველი დღის მერე არცთუ ურიგო, მეოთხე ადგილზე იყო.

მეათე ეტაპი ერთი კვირის შემდეგ ფინეთში გაიმართება.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	3სთ; 28.34,1
2	დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი)	ჩამორჩა 33,8
3	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი)	2.19,2
4	ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, პეჟო)	2.33,8
5	მანფრედ შტოლი (ავსტრია, პეჟო)	4.25,9
6	ანდრეას აიგნერი (ავსტრია, შკოდა)	5.42,6
7	იან კოპეცკი (ჩეხეთი, შკოდა)	5.45,8
8	კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ)	7.25,0

საერთო ჩათვლა

1 ლოები — ელენა 84 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 51; 3 სორდო — მარტი 41; 4 შტოლი — მინორი 24; 5 ჰირვონენი — ლეჰტინენი (ფინეთი, ფორდი) 21; 6 პეტერ სოლბერგი — მილსი (ნორვეგია, სუბარუ) 20; 7 გარდმაისტერი — ჰონკანენი 16; 8 გალი — ბერნაჩინი (იტალია, პეჟო) 11; 9 ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, პეჟო) 11; 10 პონსი —დელ ბარიო (ესპანეთი, სიტროენი) 11

კონსტრუქტორთა თასი

კრონოს ტოტალ სიტროენი 114 ქულა, BP-ფორდი 92, სუბარუ WRT 64, OMV პეჟო ნორვეგი 41, სტობარტ ფორდი 19, რედ ბულ შკოდა 18

თურქული გამბიტი ვერცხლის ენდშპილით

თურქთა ქალაქ დოგუბეიაზითში 16 წლამდელთა ოლიმპიადა დასრულდა. საქართველოს ნაკრები 29 ქულით მეორე ადგილზე გავიდა და ჩემპიონ უკრაინას ორი ქულით ჩამორჩა.

ოლიმპიადაზე ქართველები თავიდანვე ფავორიტად იყვნენ აღიარებულნი და პირველ ადგილზე გასვლაც შეეძლოთ. ჩვენებმა ყოჩაღად დაიწყეს შეჯიბრი, ყველა გუნდს დიდი ანგარიშით ანადგურებდნენ და გაბედულად მიიკვლევდნენ გზას პირველი ადგილისკენ, მაგრამ მე-6 ტურში უზბეკებთან დამარცხდნენ და საკმაო ქულებიც დაკარგეს. ამის შემდეგ კვლავ გამოცოცხლდნენ და შანსი არ დაუტოვეს მეტოქეებს, თუმც ეს მხოლოდ მეორე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

რაც შეეხება ინდივიდუალურ შედეგებს, მეორე დაფაზე მოთამაშეებში ლუკა პაიჭაძე საუკეთესო იყო და მცირე ოქროს მედალი მიიღო. მეორეზე გავიდნენ მეოთხე და მეხუთე დაფაზე მოთამაშე ლევან ბრეგაძე და დავით ლომსაძე. მესამე დაფაზე მესამე იყო დავით ბენიძე, ხოლო პიველ დაფაზე მოთამაშე გიორგი მარგველაშვილი-მეხუთე.

ლაშა გეგეჭკორი

კვაჭატაძემ ფინალში ვეღარ იკვაჭა

გუშინ სტამბოლში ჭაბუკ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ცამეტი წონითი კატეგორიიდან ცხრაში რინგზე ქართველებიც ავიდნენ და, საერთო შეფასებით, რიგიანად იჩხუბეს. დასტურად თუნდაც ის გამოდგება, რომ ტარიელ ვერულაშვილის გუნდის ერთმა წევრმა ტურნირის ბოლო დღესაც იკრივა. სწორედ გუშინ ჩატარდა ფინალები.

52 კილოგრამში მოკრივე ზაალ კვაჭატაძემ რუს ალექსანდრ ვოლკოვს მოუღერა მუშტი, მაგრამ მისი დამარცხება ვერ შეძლო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ოქროს ბრძოლამდე კვაჭატაძემ მოკლე, მაგრამ მძიმე გზა გაიარა. ჯერ იყო კორეელ სუნგ სო პარკს აჯობა აშკარა უპირატესობით და სულ მცირე, ბრინჯაო გაინაღდა, მერე კი ამერიკელ სამუელ დი პეისის სძლია დაძაბულ ბრძოლაში — 36:32.

დანარჩენი ქართველებიდან ყველაზე უკეთ ლევან ქობულაშვილი (48 კგ), გურამ გოგიაშვილი (60 კგ), ირაკლი ქოროღლიშვილი (80 კგ) და ლადო ცაციაშვილი (86 კგ) გამოვიდნენ. რომელიმეს ერთი შეხვედრით მეტი რომ მოეგო, კვარცხლბეკზე ასვლას ინაღდებდა. ნახევარფინალის საგზური ქობულაშვილს რუსმა ევგენი ავერინმა არ დაანება, გოგიაშვილს — ალბანელმა ალბი სარამ, ქოროღლიშვილს — ბელარუსმა ალექსანდრ კალეევმა, ხოლო ცაციაშვილს — რუმინელმა ალექსანდრუ ჩირილამ.

ვახტანგ წინამძღვრიშვილი (54 კგ), ალეკო ვახტანგაშვილი (57 კგ), რომან თავაძე (66 კგ) და ნოდარ იველაშვილი (75 კგ) პირველსავე შეხვედრებში დამარცხდნენ.

ოთარ მაღლაკელიძე

საიუზ ნეერუშიმი

საბჭოთა კავშირი აღდგა. არა, პოლიტიკურ ამბავში კი არა, არამედ სპორტის ერთი სახეობის ერთ კონკრეტულ სექტორში.

მთლად რომ არ დაიბნეთ, დავაზუსტოთ — საუბარი პროფესიულ კრივზე და მის ყველაზე პრესტიჟულ, ზემძიმე წონაზე გვაქვს. რა შუაშია საბჭოთა კავშირი? შუაში კი არა, თავშია, თავში. საქმე იმაშია, რომ ამ წონაში არსებული სხვადასხვა ფედერაცია-ასოციაციის ოთხი ყველაზე პრესტიჟული ქამარი პოსტსაბჭოთა სპორტსმენთა მხრებს ამშვენებს. ჰოდა, გამოვიდა, რომ აღადგინეს „დიადი კავშირი“. თავისებურად, მაგრამ მაინც აღადგინეს.

ეს ოფიციალურად გუშინ გაფორმდა, როცა ლას ვეგასში ყაზახური წარმოშობის რუსული სულის მქონე, მაგრამ ამერიკაში მცხოვრებმა ოლეგ მასკაევმა ადგილობრივთა ბოლო იმედი ჰასიმ რაჰმანი რიგიანად მიტყიპა და WBC-ს ქამარიც დაითრია.

მოგეხსენებათ, სხვა სამი ქამარი ასე იყო განაწილებული: WBO ბელორუს სერგეი ლიახოვიჩს უპყრია, WBA — რუს ნოკოლაი ვალუევს, IBF კი — უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოს. მასკაევმა ეს წრე შეკრა და ახლა ისე გამოდის, რომ წონითი კატეგორია, სადაც სონი ლისტონი, მუჰამედ ალი, მაიკ ტაისონი, ევანდერ ჰოლიფილდი და სხვა ამნაირი ლეგენდები ბრწყინავდნენ, პოსტსაბჭოელთა საბატონოდ გადაიქცა.

არადა, გუშინდელი შეხვედრის წინ ამერიკაში ერთი ამბავი იყო ატეხილი — იანკებმა ის „აშშ-ს თავდაცვის უკანასკნელი ზღუდედ“ და „ამერიკული კრივის ღირსების დაცვისთვის“ ბრძოლად მონათლეს. ამერიკელებს დიდად ეიმედებოდათ რაჰმანის, მაგრამ...

თავიდან ამერიკელმა უკეთესად დაიწყო. რაჰმანი შორიდან ცდილობდა შეტევას და საწყისი რაუნდები მოიგო კიდეც. მასკაევს კი თავისი მარჯვენის იმედი ჰქონდა და მომენტს ეძებდა, რომ უფრო ახლო ბრძოლა გაეჩაღებინა.

თითქმის თანაბარ ბრძოლაში სასწორი მეათე რაუნდიდან გადაიხარა მასკაევის მხარეს. ამ და შემდეგ, მეთერთმეტე სამწუთიულში რაჰმანი საკმაოდ გაილახა, რის გამოც ამერიკელი დროის გაყვანას ცდილობდა და მუდმივად კლინჩში შედიოდა.

ბოლო რაუნდისთვის წინ მასკაევი იყო — სამიდან ორი მსაჯი მას ანიჭებდა მცირე უპირატესობას. თუმც რაჰმანს კიდევ შერჩენოდა შანსი და ამ სამწუთეულის აქტიურად ჩატარების შემთხვევაში ფრის იმედი მაინც შეიძლება ჰქონოდა... ამას ახდენა არ ეწერა, რადგან ბრძოლის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მასკაევმა თავისი მეტოქე ფიცარნაგს ჩაახუტა. ამერიკელი კი წამოდგა და ვითომ ბრძოლაც გაგრძელდა, მაგრამ კიდევ ორიოდე ალიყური რომ მიიღო, მსაჯმა ვეღარ მოითმინა და მასკაევს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მისცა.

კახა ლომაშვილი



ოლეგ მასკაევის დარტყმა და ჰასიმ რაჰმანი ნოკაუტშია

ევროპის მე-19 ჩემპიონატი
გიოტებორგი. შვედეთი. 7 – 13 აგვისტო



კრისტიან ოლსონი


ელენა ისინბაევა

AFP გიოტებორგიდან

კრისტიანული დღესასწაული
ისინბაევამ ევროპაც გამოჭოკა

კრისტიან ოლსონი ახტა, დახტა — ერთხელ, მეორედ, მესამედ და საკმაოდ ძლიერი პირქარის მიუხედავად, 17,67 მტერზე გადახტა. ეს მეორე ცდაზე მოხდა და სამხტომელთა შეჯიბრს აზრი დაეკარგა — „ულევის" გადაჭედილი ტრიბუნების გასახარად, ყველაფრის მომგებმა შვედმა მშობლიური პუბლიკის თვალწინაც იმარჯვა და, მძიმე ტრავმით გამოწვეული ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, დაბრუნება ევროპის ჩემპიონობით აღნიშნა.

დარჩენილი ოთხი ცდა ოლსონს აღარ გამოუვიდა, მაგრამ აღარც იყო საჭიროება — უახლოესი კონკურენტი, ბრიტანელი ნათან დუგლასი შვედს თითქმის ნახევარი მეტრით ჩამორჩა.

ოლსონის გამარჯვებით ჩემპიონატის მასპინძლებმა გულიანად გაიხარეს, მით უმეტეს, წინა დღეს განცდილი მარცხის შემდეგ. წინა დღეს სიმაღლეზე მხტომელთა სექტორში შვედებმა ოქროს მედალი დაკარგეს — კაისა ბერგკვისტს ლამის ჩემპიონატის დაწყებამდე მიულოცეს ჩემპიონობა და ეტყობა ამის ბრალიც იყო — კაისამ დაძაბულობას ვერ გაუძლო და ოქროს ვინ ჩივის, ბრინჯაოთიღა დაკმაყოფილდა. ჩემპიონი კი აწოწილი და სათვალიანი ბელგიელი ტია ელებო გახდა, ვინც თავისი გრძელი ფეხებით 203 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და საკარიერო და ქვეყნის რეკორდებიც დაამყარა.

203 სმ. სიმაღლე დაძლია ბულგარელმა ვენელინა ვენევამაც, ოღონდ ამან ამ სიმაღლემდე მისვლას ბელგიელზე მეტი ცდა მოანდომა და ამიტომაც მეორეობას დასჯერდა. ელებოს არ იყოს, ვენევამაც დაამყარა პირადი რეკორდი, მაგრამ ქვეყნისაზე ნურას უკაცრავად — ბულგარული მიღწევა ხომ იგივე მსოფლიო რეკორდიც გახლავთ, 209 სანტიმეტრს უდრის და სტეფკა კოსტადინოვას ეკუთვნის.

ჩემპიონატის დაწყებამდე ბერგკვისტი, სწორედ კოსტადინოვას 19 წლის წინანდელი რეკორდის დამხობაზეც კი ლაპარაკობდა, მაგრამ რეკორდიც განზე დარჩა და ოქროს მედალიც.

პარასკევს შვედები ოქროს გარეშე მაინც არ დარჩნენ. თარჯებით გაწყობით 100 მეტრზე ყველაზე ჩაუქად 25 წლის სუსანა კალურმა ირბინ-იხტუნა და თანამემამულეებს ბერგკვისტის წაგებით გამოწვეული წუხილი გაუნელა.

ბელგიელი ქალები კი სიმაღლეზე ხტომაში მოპოვებული ჩემპიონობით არ დაკმაყოფილდნენ — თუ კაცთა ევროპული სპრინტი ნიგერიული წარმოშობის პორტუგალიელის, ფრანსის ობიკველუსია, ქალთა შორის ბადალი არ ჰყავს კიმ გევარტს. ამ 28 წლის ბელგიელმა, ობიკველუსი არ იყოს, გიოტებორგში ორივე სპრინტერული დისტანცია მოიგო და 100 მეტრზე გამარჯვების შემდეგ, ორჯერ გრძელ მანძილზეც იოლად აჯობა კონკურენტებს. ოთხი წლის წინ, მიუნხენში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე გევარტმა ორი ვერცხლი ირგუნა და ახლა კი იმ მედლებს, ისევე წყვილად, ოქროსები დაამატა.

პარასკევსვე კაცებმა წინაღობებიანი 3000 მეტერი ირბინეს და ამ ურთულეს სახეობაში ყველას ფინელმა იუკა კესკისალომ აჯობა. დასრულეს თავიანთი მარათონული ასპარეზობა ათჭიდელებმაც და, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო ჩეხმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა რომან სებრლემ.

შაბათი კი, როდესაც მედლების ცხრა კომპლექტი გათამაშდა, ჭეშმარიტად ბელარუსული დღე გამოდგა. პრეზიდენტ ლუკაშენკოს ქვეშევრდომებმა ერთბაშად სამი ოქრო მოიპოვეს და ზედ ვერცხლ-ბრინჯაოც დაამატეს. განსაკუთრებით ალესია ტუროვა უნდა გამოვყოთ. მისმა დამ, რიტამ, რამდენიმე დღით ადრე, 20 კილომეტრზე სპორტულად სიარულში აჯობა ყველას და, რიტაზე ნაკლები რითა ვარო, ალესიამ ქალთათვის არანაკლებ საშინელ და რთულ სახეობაში 3000 მეტრზე წინაღობებით სირბილში, დაჯაბნა თავისი კონკურენტები, რომლებიც, აგრეთვე სლავთა მოდგმისანი იყვნენ — რუსები და პოლონელები.

ტუროვას თავისი ჯანიანი მარჯვენა შეაშველა 24 წლის ბირთვის მკვრელმა დიაცმა ნატალია ხორონეკმა, რომელმაც 19,43 მეტრზე გაისროლა შვიდკილოგრამიანი სფერო და ოდენ ერთი სანტიმეტრი მოუგო თავისივე თანამემამულეს ნადეჟდა ოსტაპჩუკს.

ორი ბელარუსი შედგა კვარცხლბეკზე კაც უროს მტყორცნელთა შეჯიბრის დასრულების შემდეგაც. აქ ივან ტიხონმა ბოლო ცდაზე აჯობა ფინელ ოლი-პეკა კარიალაინენს, ხოლო მეორე ბელარუსი, სეზონის საუკეთესო შედეგის ავტორი ვადიმ დევიატოვსკი ბრინჯაოს დასჯერდა.

თავისი წილი ოქრო დაუმარცხებელმა რუსმა ელენა ისინბაევამაც გამოჭოკა. დაუმარცხებელი კი ვთქვით, მაგრამ ამ ერთი თვის წინ ელენას პოლონელმა მონიკა პურეკმა აჯობა და შაბათს 24 წლის რუსმა გოგომ რევანში აიღო — ამ პურეკს თავის ჭოკიანად თავზე ხომ გადაახტა და მერე წვიმიან ამინდში მსოფლიო რეკორდსაც შეუტია. შეუტია, ოღონდ ამჯერად ამაოდ დაშვრა. ისე, ისინბაევას მდიდრულ კოლექციას მხოლოდ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი აკლდა და ახლა ეს ხარვეზიც გამოსწორეულია.

5000 მეტრზე ქალთა სირბილში ესპანელმა მარტა დომინგესმა, სულ ბოლო მოსახვევში გაასწრო რუს ლილია შობუხოვას, ხოლო გაცილებით გრძელ, 42 კილომეტრიან ქალთა მარათონში ყველას გერმანელმა ულრიკე მეიშმა აჯობა.

შაბათსვე ორი ოქრო ლიტვა-ლატვიელებმაც ირგუნეს — კაცთა ბადრო, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე შორს ლიტველმა ვირგილიუს ალეკნამ გასტყორცნა, ხოლო 110 მტერზე კაცთა თარჯრბენში ასევე პროგნოზირებადი გამარჯვება მოიპოვა ლატვიელმა სტანისლას ოლარსმა.

გია მუჯირი

11 აგვისტოს კვარცხლბეკი

სიმაღლეზე ხტომა. ქალები

1. ტია ელებო (ბელგია) ---------- 2,03
2. ვენელინა ვენევა (ბულგარეთი) ---------- 2,03
3. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) ---------- 2,01

100 მ. თარჯრბენი. ქალები

1. სუსანა კალური (შვედეთი) ---------- 12,59
2. დერველ ორურკი (ირლანდია) ---------- 12,72
2. კირსტენ ბოლმი (გერმანია) ---------- 12,72

200 მ. ქალები

1. კიმ გევარტი (ბელგია) ---------- 22,68
2. იულია გუშჩინა (რუსეთი) ---------- 22,93
3. ნატალია რუსაკოვა (რუსეთი) ---------- 23,09

3000 მ. წინაღობებით. კაცები

1. იუკა კესკისალო (ფინეთი) ---------- 8.24,89
2. ხოსე ლუის ბლანკო (ესპანეთი) ---------- 8.26,22
3. ბოუაბდელა ტაჰრი (საფრანგეთი) ---------- 8.27,15

ათჭიდი. კაცები

1. რომან სებრლე (ჩეხეთი) ---------- 8526
2. ატილა ჟივოცკი (უნგრეთი) ---------- 8356
3. ალექსეი პოგორელოვაი (რუსეთი) ---------- 8350

12 აგვისტოს კვარცხლბეკი

5000 მ. ქალები

1. მარტა დომინგესი (ესპანეთი) ---------- 14.56,18
2. ლილია შობუხოვა (რუსეთი) ---------- 14.56,57
3. ელვან აბეილეგესე (თურქეთი) ---------- 14.59,29

3000 მ. წინაღობებით. ქალები

1. ალესია ტუროვა (ბელარუსი) ---------- 9.26,05
2. ტატიანა პეტროვა (რუსეთი) ---------- 9.28,05
3. ვიოლეტა იანოვსკა (პოლონეთი) ---------- 9.31,62

ჭოკით ხტომა ქალები

1. ელენა ისინბაევა (რუსეთი) ---------- 4,80
2. მონიკა პურეკი (პოლონეთი) ---------- 4,65
3. ტატიანა პოლნოვა (რუსეთი) ---------- 4,65

ბირთვის კვრა. ქალები

1. ნატალია ხორონეკი (ბელარუსი) ---------- 19,43
2. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) ---------- 19,42
3. პეტრა ლამერტი (გერმანია) ---------- 19,17

მარათონი. ქალები

1. ულრიკე მეიში (გერმანია) ---------- 2:30.01
2. ოლივერა იევტიჩი (სერბეთი) ---------- 2:30.27
3. ირინა პერმიტინა (რუსეთი) ---------- 2:30.53

უროს ტყორცნა. კაცები

1. ივან ტიხონი (ბელარუსი) ---------- 81,11
2. ოლი-პეკა კარიალაინენი (ფინეთი) ---------- 80,84
3. ვადიმ დევიატოვსკი (ბელარუსი) ---------- 80,76

სამხტომი. კაცები

1. კრისტიან ოლსონი (შვედეთი) ---------- 17,67
2. ნათან დუგლასი (ბრიტანეთი) ---------- 17,21
3. მარიან ოპრეა (რუმინეთი) ---------- 17,18

ბადროს ტყორცნა. კაცები

1. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) ---------- 68,67
2. გერდ კანტერი (ესტონეთი) ---------- 68,03
3. ალექსანდერ ტამმერტი (ესტონეთი) ---------- 66,14

110 მ. თარჯრბენი. კაცები

1. სტანისლავს ოლიარსი (ლატვია) ---------- 13,24
2. ტომას ბლაშეკი (გერმანია) ---------- 13,46
3. ენდი ტარნერი (ბრიტანეთი) ---------- 13,52

13 აგვისტოს ჩემპიონები

შუბის ტყორცნა. ქალები

1. შტეფი ნერიუსი (გერმანია) ---------- 65,82

1500 მ. ქალები

1. ტატიანა ტომაშოვა (რუსეთი) ---------- 3.56,91

სიგრძეზე ხტომა. ქალები

1. ლუდმილა კორჩანოვა (რუსეთი) ---------- 6,93

4 X 100 მ. ქალები

1. რუსეთი ---------- 42,71

4 X 400 მ. ქალები

1. რუსეთი ---------- 3.25,12

მარათონი. კაცები

1. სტეფანო ბალდინი (იტალია) ---------- 2:11.32

ჭოკით ხტომა. კაცები

1. ალექს ავერბუხი (ისრაელი) ---------- 5,70

800 მ. კაცები

1. ბრამ სომი (ჰოლანდია) ---------- 1.46,56

5000 მ. კაცები

1. ხესუს ესპანა (ესპანა) ---------- 13.44,70

4 X 100 მ. კაცები

1. დიდი ბრიტანეთი ---------- 38,91

4 X 400 მ. კაცები

1. საფრანგეთი ---------- 3.01,10

AFP ბუენოს აირესიდან

მუშტი დედალიც მწარეა

ქალთა კრივიც აღარაა იშვიათი ხილი. აგერ, ბუენოს აირესში რა ყოფაში არიან ქალები — არგენტინელი მარჩელა აკუნიას მუშტით უპოვნია კოლუმბიელი ანაის გუტიერესის თვალი და აკი მოუგია კიდეც, რასაც გვიდასტურებს მისი ღიმილი და ფოტოპოზირება ურუგვაელ მსახიობ ნატალია ორეიროსთან.

ქალი გემბანზე

შუა საუკუნეებში, აფრებით და ვარსკვლავებით ნაოსნობის ეპოქაში ქალი გემზე ავ ნიშნად ითვლებოდა და ბევრ გემბანს არც აკარებდნენ მშვენიერთა სქესის ყვავილებს. სულ სხვაგვარადაა ცივილ-ფემინიზაციის დროებაში. ეს ჯანმრთელი გოგონები სულაც თურქები არიან და თავად არ იკარებენ კაცს. ტუნისში არიან, კართაგენის ნანგრევებიდან რეგატაში სანაოსნოდ ემზადებიან.

AFP პორტ ოფ სიდი ბოი საიდიდან

აცადე, შე კაცო!

თაყვანისმცემელი გოგონა გულში ჩაკონებია ნიუ იორკში მყოფ რონალდინიოს, მაგრამ აცლის რამეს სეკურიტ-ოფიცერი?!

AFP ნიუ იორკიდან

AFP მაიამიდან

დამჭერმა დაიჭირა

ამერიკული ბურთაობის ფლორიდულ დერბიში „ჯეკსონვილ იაგუარზი“ „მაიამი დოლფინზს“ ერკინება. პასის დამჭერ ჩად ოუენსს სწორედაც რომ უმარჯვესად მოუგდია ხელთ გრძელი პასი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge